პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 155 (10241)

შაბათი, 2 ივლისი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ნება. — „პრავდის“ 1-VII მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულნი (1-ლი გვერდი).

ა. კუჭუხიძე, გ. დავლაშერიძე. — რა აფერხებს მარგანეცის გამოზიდვას ჭიათურიდან (მე-2 გვერდი).

ა. ბეშიძე. — დღეს ლაჯანურჰესის მშენებლობაზე (მე-2 გვერდი).

პროფკავშირულ თემაზე. — დ. ცირეკიძე. — გავაუმჯობესოთ პროფკავშირული აქტივის სწავლება (მე-2 გვერდი).

ა. ნინუა. — სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მეტი დახმარება (მე-2 გვერდი).

რუმინელ და ქართველ ქალთა მეგობრობა (მე-3 გვერდი).

სარედაქციო ფოსტიდან (მე-3 გვერდი). — კომუნიკე გერმანიის [illegible] ლიკის მთავრობისათვის [illegible] ლების გადაცემის შესა[illegible] კავშირში ინახება (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ნება

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეამ. რვა დღის განმავლობაში მსოფლიოს 68 ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალების ორი ათასამდე წარმომადგენელი თავისუფალი დისკუსიის მსვლელობაში განიხილავდა თანამედროვე საერთაშორისო წდგომარეობის პრობლემებს, ეძიებდა მომწიფებული საერთაშორისო საკითხების გადაჭრის ყველასათვის მისაღებ საშუალებებს, ერთმანეთს უზიარებდა მშვიდობისათვის ბრძოლის გამოცდილებას.

ისტორიაში ჯერ არ ყოფილა კეთილი ნების ადამიანთა ასეთი ფართო კრება. ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ადამიანებმა, რომლებიც სხვადასხვა მატერიკიდან და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. სხდომათა დარბაზში მუშებისა და გლეხების გვერდით ისხდნენ თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმოგზავნილებთან ერთად ასამბლეაში მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობის დასაცავად მოქმედი ბევრი სხვა საზოგადოებრივი მიმდინარეობის წარმომადგენლები.

ასამბლეის ფართო წარმომადგენლობითმა ხასიათმა შესაძლებელი გახადა ბევრ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისთა გამოვლინება და ერთმანეთთან შედარება, ადამიანებს, რომლებიც ამ სხვადასხვა თვალსაზრისს გამოთქვამდნენ, ერთმანეთთან აახლოებდა ერთიანი და ყველასათვის საერთო მიზანი: **მისწრაფება ურთიერთგაგებისადმი მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის.** კეთილმა ნებამ, რაც ასამბლეის მონაწილეებმა გამოიჩინეს, შესაძლებელი გახადა სხვადასხვა თვალსაზრისთა შეთანხმება და საერთო გადაწყვეტილებათა გამოტანა.

ასამბლეის ეს წარმატება გაძლიერებს ხალხთა რწმენას, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაშიც, მიუხედავად სერიოზული უთანხმოების არსებობისა, შეიძლება და საჭიროა არის მივაღწიოთ მოლაპარაკების გზით შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღებას უმნიშვნელოვანეს მომწიფებულ პრობლემებზე.

ვითარებას, რომელშიც მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა მუშაობას აწარმოებდა, ახასიათებს საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელოვანი დაძაბულობა, რომელსაც ამძაფრებს ომის პროპაგანდა და გამალებული შეიარაღება, რაც არ წყდება ზოგიერთ ქვეყანაში. ამ დაძაბულობის შემდგომი გაძლიერება საფრთხეს შეუქმნიდა მშვიდობის შენარჩუნებას, შექმნიდა ახალი ომის წარმოშობის საფრთხეს.

მაგრამ დამტკიცებულია, რომ ამასთან ერთად არსებობენ გზები, რომლებსაც მივყავართ ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისა და მეგობრობის გაძლიერებისაკენ. საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები ახორციელებენ, სულ უფრო ახალ დადებით შედეგებს იძლევა.

ჰელსინკის მსოფლიო ასამბლეამ დასახა ძირითადი გზები, რომლებითაც უნდა წარიმართოს მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისათვის, ყველა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფისათვის, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

მსოფლიო ასამბლეის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღიარეს, რომ მასობრივი მოსპობის იარაღის მარაგის არსებობა და ატომური ომისათვის მზადება, რა მოსაზრებებითაც უნდა ასაბუთებდნენ მას, შიშისა და უნდობლობის წყაროა, ზრდის ქვეყნებს შორის მტრობას და ამით აძლიერებს ომის საფრთხეს. ყველა მთავრობის მიერ საქვეყნოდ უარისთქმა ატომური იარაღის ხმარებაზე, მისი არსებული მარაგის მოსპობა და შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების განხორციელება ეტაპებად და მკაცრი საერთაშორისო კონტროლით — ასეთია ის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტას სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ მთელი მსოფლიოს ხალხები.

ასამბლეამ გადაჭრით დაგმო ძალის პოლიტიკის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობაში და არსებობა კარდახშული სამხედრო ბლოკებისა, რომლებიც მიმართულია სხვა ქვეყნების უშიშროების წინააღმდეგ და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შინაარსსა და ფორმას. ასამბლეის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პრინციპებს, რომლებიც მიღებულია აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციაზე. ასეთი რეგიონალური კონფერენციების მოწვევას, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებდნენ დედამიწის სხვადასხვა ნაწილის ქვეყნები, — მაგალითად, ევროპის სახელმწიფოთა კონფერენციას, — შეუძლია ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ასამბლეამ მშვიდობის ინტერესებისათვის ყველა ქვეყანას მოუწოდა უარი თქვან ძალადობის პოლიტიკაზე და სადავო საკითხები მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ.

აღნიშნა რა, რომ ამჟამად მსოფლიო შედგება სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური სისტემის მქონე სახელმწიფოთაგან, ასამბლეამ დაადასტურა, რომ საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნება მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფომ თავის საგარეო პოლიტიკაში იხელმძღვანელოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თავდაუსხმელობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით. დელეგატების სიტყვებმა ცხადყო, რომ ყველა ქვეყანაში ძლიერდება ხალხთა მოძრაობა მშვიდობიანი თანაარსებობის ამ ხუთი პრინციპის სასარგებლოდ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოწოდებულია ნაყოფიერი თანამშრომლობა დაამყაროს ყველა ხალხს შორის. მშვიდობის მსოფლიო ასამბლეამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი თავის მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა დაიცვას ერთგულება თავისი წესდებისა და დიდ სახელმწიფოთა შორის ერთხმივობის პრინციპისადმი, რომ იგი უნდა იყოს ნამდვილად ყოვლისმომცველი ორგანიზაცია და რომ ამასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას უნდა დაუბრუნდეს ადგილი, რომელიც მას უფლებით ეკუთვნის.

ეყრდნობა რა იმას, რომ სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების რაიმე შებღალვა ქმნის საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის საფრთხეს, ასამბლეამ უარყო ყალბი პროპაგანდა, რომელიც სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვას გვიხატავს როგორც... „მშვიდობის გარანტიას“. ასამბლეამ მოითხოვა გაუქმდეს ზოგი სახელმწიფოს მიზნების განხორციელებისათვის სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიის გამოყენების ყოველგვარი „უფლება“.

ასამბლეის მონაწილეებმა დიდი მუშაობა გასწიეს ეკონომიური და სოციალური პრობლემების, აგრეთვე ქვეყნებს შორის კულტურული გაცვლის საკითხების და მშვიდობის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საკითხების შესწავლის დარგში. ასამბლეამ მოითხოვა განთავისუფლდეს ქვეყნების ეროვნული ეკონომიკა გამალებული შეიარაღების ტვირთისაგან და განთავისუფლებული სახსრები მოხმარდეს ხალხთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, სუსტადგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობისათვის უანგარო დახმარების გაწევას. ასამბლეაში ფართო მხარდაჭერა ჰპოვა მოთხოვნამ მოისპოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და უთანასწორობა საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობაში.

კაცობრიობის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ნებამ, რომელთა წარმომადგენლებიც ჰელსინკში შეიკრიბნენ, თავისი გამოხატულება ჰპოვა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მიერ მიღებული მიმართვით. ეს არის უდიდესი დამაჯერებელი ძალის დოკუმენტი. იგი უეჭველად იქნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა დროშა.

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მოწოდება მიმართულია უწინარეს ყოვლისა დიდი სახელმწიფოებისადმი, რომლებსაც აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის. მხედველობაში აქვს რა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების მომავალი შეხვედრა, მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსოფლიოს გათიშვის პირობებში კაცობრიობა ამ შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებს. ოთხი მთავრობის მეთაურთა უპირველეს ამოცანად მშვიდობის მსოფლიო ასამბლეამ მიაჩნია ურთიერთ უნდობლობის გადალახვა. თუ ოთხი სახელმწიფოს თათბირი ანგარიშს გაუწევს ხალხთა საზოგადოებრივ აზრს, იგი შეძლებს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრას ბევრი სადავო საერთაშორისო საკითხი.

იმ საკითხთა რიცხვს, რომელთა გადაჭრა ოთხივე სახელმწიფოს კეთილი ნების გამოვლინებას მოითხოვს, ეკუთვნის ევროპის სახელმწიფოთა უშიშროება და მათი მეგობრული თანამშრომლობის უზრუნველყოფა. თუ ოთხი სახელმწიფოს თათბირი ანგარიშს გაუწევს საზოგადოებრივ აზრს, იგი გახდება ისეთი ევროპის შექმნის პირველი ეტაპი, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება ევროპის ყველა სახელმწიფოს უშიშროება. ამ ამოცანის გადაჭრა მჭიდროდ დაკავშირებულია ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოს აღდგენასთან, რომელიც არ შევა არავითარ სამხედრო ბლოკში და გარანტირებული იქნება, რომ იქ არ აღორძინდება მილიტარიზმი.

მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ ჩინეთის კუნძულ ტაივანიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის მომზადებას მოლაპარაკების გზით, ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის შეთანხმების ზუსტი დაცვისადმი კონტროლის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მისი კანონიერი ადგილის დაბრუნებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მიმართავს რა მშვიდობისმოყვარე ძალების სახელით ოთხ დიდ სახელმწიფოს, მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა ამასთან ერთად მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს მოუწოდებს იყოს ფხიზელი. მსოფლიოში კიდევ არიან ძალები, რომლებსაც მოსწონთ „ცივი ომი“ და რომლებიც ამიტომ იბრძვიან ოთხი დიდი სახელმწიფოს საქმიანი თანამშრომლობის აღდგენის წინააღმდეგ. ხალხები მზად უნდა იყონ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ მათს ძირგამომთხრელ საქმიანობას.

თუ საზოგადოებრივი აზრის მტკიცე მხარდაჭერა არ იქნა, ისე შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგება. **მშვიდობის საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვირგვინდება წარმატებით, თუ უკლებლივ ყველა მშვიდობისმოყვარე ძალები, რომლებიც ერთსა და იმავე მიზნებს — ურთიერთგაგებას, მშვიდობას, თანამშრომლობას — ისახავენ, თავიანთ მოქმედებას გააერთიანებენ.**

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეამ მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ სხვადასხვა ერისადმი, იდეოლოგიისადმი, რელიგიის, სოციალური კლასისა და ორგანიზაციისადმი კუთვნილება ხელს ვერ შეუშლის თავისუფალ თანამშრომლობას მშვიდობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხი, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, მხურვალედ მიესალმება მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მუშაობის შედეგებს. მის საქმიანობაში, მის გადაწყვეტილებებში მკაფიოდ გამოვლინდა ხალხთა მისწრაფება — ყველა საბჭოთა ადამიანისათვის მახლობელი მისწრაფება — დაიცვან თავი ომის საშინელებისაგან.

საბჭოთა საზოგადოებრიობა დარწმუნებულია, რომ მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მუშაობის შედეგები კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენენ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაზე და ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

„პრავდის“ 1-VII მოწინავე.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

პირველი რაბვა

დაბა კუმსომოლსკი (**კუიბიშევის ოლქი**), 30 ივნისი (საკდესი). ამ დღეებში კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები ყურადღებას აქცევენ ვოლგის მარცხენა ნაპირს, სადაც მთავრდება მუშაობა ქვემო რაბსა და სანაოსნო არხებზე.

დღეს აქ მოხდა პირველი სასინჯი რაბვა. 12 საათსა და 45 წუთზე წყალმიმყვანი არხიდან რაბის მარჯვენა კამერაში შევიდა ფლოტილია „კუიბიშევჰიდრომშენის“ ორი კატერი „ბაიკალი“ და „ტაიფუნი“.

ასობით მშენებელი მქუხარე ტაშით მიესალმა რაბში პირველი გემების გავლას.

სასინჯმა რაბვამ ცხადყო, რომ ქვემო რაბის პირველი კამერის მექანიზმები მუშაობისათვის მზად არის. უახლოეს ხანში, როგორც კი დაშლიან ზღუდარს ქვემო სანაოსნო არხში, რაბის კამერას გაივლის პირველი გემი.

მშენებლობა გაჯიკეთის კოლმეურნეობებში

სტალინაბადი. (საკდესი). მოლოტოვაბადის რაიონის ლენინის სახელობისა და მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებში მთის რაიონებიდან გადმოსახლებულთათვის აგებულია 37 საცხოვრებელი სახლი. თვითეულ სახლში არის ორი ოთახი, სამზარეული, დერეფანი, აივანი. წლის დამდეგიდან რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო არტელებში ახალდასახლებულთათვის აიგო 400-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

დიდი გაქანება მიეცა სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას. კოლმეურნეობებში შენდება მეცხოველეობის ასობით სათავსო. ათ სასოფლო-სამეურნეო არტელში დაიწყო ახალი კლუბების მშენებლობა.

წელს კოლმეურნეობებმა მშენებლობისათვის გამოჰყვეს 417 მილიონი მანეთი.

ვეშაპი ბაღეში

იუჟნო-სახალინსკი. (საკდესი). ხოლმსკის თევზკომბინატის მებადურები გავიდნენ ზღვაში დასადგმელი ბადის ფაცერის მორიგი შემოწმებისათვის. ბრიგადირმა ი. ციბულნიკმა ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა, რომ ბადე რაღაც არაჩვეულებრივ მდგომარეობაშია. ტივტივები ძლიერ ქანაობდნენ, წყალი აზვირთებული იყო. უეცრად ფაცერიდან შადრევანი ავარდა. იქ აღმოჩნდა ვეშაპი.

დიდხანს ებრძოდნენ მეზადურები ახალგაზრდა ვეშაპს. მან დააზიანა ბადე, გაწყვიტა რამდენიმე ბაგირი, მაგრამ ბოლოს იგი მაგრად შეკრეს გვარლით და ბუქსირით წაიყვანეს ნაპირისაკენ.

ვეშაპების ასე ახლოს მოსვლა ნაპირთან იშვიათი მოვლენაა თათართა სრუტეში.

მოსკოვი. ქუჩა პერვაია მეშჩანსკაია. ფოტო ნ. გრანოვსკის.

★

წყნარი ოკეანის ქალაქი-ნავსადგური

ვლადივოსტოკი, 1 ივლისი. (საკდესი). ვლადივოსტოკის მშრომელები აღნიშნავენ თავიანთი ქალაქის დაარსების 95-ე წლისთავს, რაც 2 ივლისს სრულდება. ამ დღეებში ექსკურსანტთა მრავალი ჯგუფი ათვალიერებს ქალაქის ისტორიულ და ღირსსახსოვარ ადგილებს.

ვაგზლის მოედანზე აღმართულია ვ. ი. ლენინის მონუმენტი. მის კვარცხლბეკზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია სიტყვები: „ვლადივოსტოკი შორს არის, მაგრამ ის ხომ ჩვენი ქალაქია“. ეს სიტყვები გაისმის დღეს საუბრებსა და ლექციებში, რომლებიც იმართება ქალაქის პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში, ბიბლიოთეკებში, საზღვაო გემებზე და სამრეწველო საწარმოებში.

ვლადივოსტოკი ლაღად არის გადაშლილი გორაკების ლამაზ ფერდობებზე ოქროს რქის ბუხტის გარშემო. სამი მხრიდან მას უვლის ბუხტის, ამურისა და უსურის ყურეთა ლურჯი წყალი. დღითიდღე სულ უფრო ლამაზი ხდება მეზღვაურთა, მეთევზეთა, მენავსადგურეთა, გემშემკეთებელთა. რკინიგზელთა ქალაქი. ქუჩების ანსამბლებს ამშვენებენ ახალი მრავალსართულიანი ლამაზი შენობები, სკვერები, მოედნები, ყვავილნარები, გაზონები. აქ მთავრდება ტრანსციმბირის მაგისტრალი, რომელიც მსოფლიოში უდიდესია, და იწყება წყნარი ოკეანის საზღვაო გზები. ისინი დიდ საბჭოთა მიწასთან აკავშირებენ შორეულ ჩუკოტკას, კამჩატკას, კურილის კუნძულებს, სახალინს.

განუწყვეტლივ ჩქეფს ცხოვრება ვლადივოსტოკში — ზღვისპირეთის მხარის ადმინისტრაციულ, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრში. უდიდეს პორტალურ ამწეებს, კონვეიერთა გრძელ ლენტებს დღედაღამ შეაქვთ და გამოაქვთ ტვირთები ოკეანის გემების ღრმა ტრიუმებიდან. ვლადივოსტოკელი მენავსადგურეები წარმატებით იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ შრომითი პატაკით აღნიშნეს მშობლიური ქალაქის იუბილე თევზის ნავსადგურის, სანდალოზქილის ქარხნის, ვეშაპთსანადირო ფლოტილია „ალეუტის“, რამდენიმე სატვირთო გემისა და სანაპირო საკონსერვო ქარხნების კოლექტივებმა. ზღვისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის პრობლემებზე დაუცხრომლად შრომობენ წყნარი ოკეანის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის ინსტიტუტის და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის ფილიალის მეცნიერთა კოლექტივები. ვლადივოსტოკის დამპროექტებელ ორგანიზაციათა ათობით ინჟინერი აროექტებს ახალ საწარმოო ნაგებობებს, საცხოვრებელ სახლებს, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო შენობებს. ქალაქის ხუთი უმაღლესი დარვა საშუალო სასწავლებელი ამ დღეებში დიდი შრომითი ცხოვრების ასპარეზზე გამოუშვებს ათას ხუთასზე მეტ აღზრდილს.

არსენიევის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების ზღვისპირეთის ფილიალში მომზადებულია წყნარი ოკეანის ქალაქ-ნავსადგურის ისტორიისადმი მიძღვნილი დოკუმენტების, ფოტოსურათებისა და ლიტერატურული მასალების დიდი გამოფენები.

გემების მოძრაობა კახოვკის რაბით

ნოვაია კახოვკა, 30 ივნისი. (საკდესი). დღეს კახოვკის სანაოსნო რაბი გაიარა პირველმა სამგზავრო გემმა „იოსებ სტალინმა“, რომელიც კიევიდან ხერსონში მიდის.

კახოვკის სანაოსნო რაბზე გასავლელი გზა გაიხსნა. დაიწყო გემების რეგულარული მოძრაობა. მშენებლებმა დაწესებულ ვადაზე ერთი წლით ადრე შექმნეს ეს რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

★

ტექნიკური პროგრესისათვის

შახტების ჭაურთა ჩქაროსნული გაყვანის აგრეგატი

იასინოვატაია (**სტალინოს ოლქი**). (საკდესი). იასინოვატაიას სამთო მოწყობილობის ქარხნის მანქანათმშენებლებმა გააკეთეს პირველი გვირაბგამყვანი გრეიფერიანი აგრეგატი „პგა-3“ ათას მეტრამდე სიღრმის ვერტიკალური შახტების ჭაურთა ჩქაროსნული გაყვანისათვის. იგი გააკეთა ქვანახშირის მანქანების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის ინჟინერმა ამბ. ლოხანინმა.

აგრეგატი, რომელიც ცხრა რთული კვანძისაგან შედგება, მექანიზებულია ყველა შრომატევადი ოპერაცია: ქანის აღება, დროებითი და მუდმივი სამაგრის აგება, მასალის ჩაშვება. მისი თვიური წარმადობაა 6,5 კვადრატული მეტრი კვეთილობის 120 მეტრი მზა ჭაური. იგი შეცვლის 3-4 მტვირთავს „ბჩ-1“. საჭირო იქნება გვირაბგამყვანთა ერთისამად ნაკლები შტატი, ვიდრე ახლა მუშაობს ახალშენებებზე.

აგრეგატი მნიშვნელოვნად გააადვილებს სანგრევში შრომას და გაუმჯობესებს მის პირობებს. მძლავრი სატუმბავის საშუალებით უზრუნველყოფილია გრუნტის წყლის ამოტუმბვა. ჭაურის ყველა უბანზე ელექტროგანათებაა. ზედაპირთან კავშირისათვის მოწყობილია შუქგვერითი სიგნალიზაცია.

ქარხანამ ახალი გვირაბგამყვანი აგრეგატის პირველი კვანძები უკვე გაუგზავნა კემერესკის ოლქის № 2 „სოკოლოვსკის“ შახტს.

• • •

ახალი კომბაინერუქციის კომპრესორი

მოსკოვის ქარხანა „კომპრესორში“ გააკეთეს პირველი კუთხური საჰაერო კომპრესორი მეტალურგიულ ქარხანა „სერპ ი მოლოტისათვის“. მანქანის კუთხურმა განლაგებამ შეამსუბუქა მისი წონა და მნიშვნელოვნად შეამცირა გაბარიტები.

ახალი კომპრესორი წუთში 50 კუბურ მეტრ ჰაერს იძლევა. მისი ძირითადი დანიშნულებაა შეკუმშული ჰაერი მიაწოდოს მარტენისა და გასახურებელ ღუმლებში სათანადო ტემპერატურის დასაცავად.

აგრეგატი შეკუმშულ ჰაერს იძლევა აგრეთვე საამქროებში პნევმატიკური სამუშაოებისათვის.

დაღისტნელ კოლმეურნეთა დელეგაცია დუშეთის რაიონში

დუშეთი. (ტელეფონით, საკ. კორ.). 29 ივნისს დუშეთის რაიონს ეწვია დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია. ამ სასიხარულო ამბის გამო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე თავი მოიყარეს რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მუშა-მოსამსახურეებმა და ახლოშახლო სოფლების კოლმეურნეობათა წევრებმა.

გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც სტუმრებს თაიგულები მიართვეს.

გაიმართა სახელდახელო მიტინგი. სტუმრებს მიესალმა დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბურდული. სიტყვები წარმოთქვეს დუშეთის მტს-ის დირექტორმა ა. მანუკოვმა, დუშეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. პაპაშვილმა და სოფელ ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ლალიაშვილმა.

გუნიბის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. გიდაროვმა რაიონის მშრომელებს გადასცა გუნიბელ კოლმეურნეთა გულწრფელი სალამი და საუკეთესო სურვილები, მადლობა გადაუხადა დუშელებს გულთბილი მიღებისათვის.

ამავე დღეს დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზებული ფერმა, ვეტერინარული სამკურნალო, ესაუბრნენ ფერმის მუშაკებს და ზოოვეტსპეციალისტებს. სოფელ ჭოხის კოლმეურნეობის ცხონიერ მწველავი სალომატ ახმედოვი შეხვდა თავის კოლეგას — მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მოწინავე მუშაკს ე. ბირმისაშვილს. მეგობრებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

სტუმრები იყვნენ მლეთის კოლმეურნეობაში, სადაც გაეცნენ ფერმათა მუშაობას, ნახეს მლეთელების მიერ გამოყვანილი ახალი ჯიშის ცხვრის ფარა. სტუმრების ჩამოსვლასთან დაკავშირებით სოფელ გუდამაყრის კოლმეურნეობაში შედგა კრება. დაღისტნელ კოლმეურნეებს მეგობრული შეხვედრა მოუწყეს. შემდეგ დუშეთის რაიონის სოფელ გუდამაყრის და გუნიბის რაიონის სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება მიმდინარე წელს მეცხოველეობის დარგში დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

საჰაერო პარადი ტუშინოში

საჰაერო პარადი ტუშინოში გაიმართება კვირას, 3 ივლისს, დილის 10 საათზე. (საკდესი).

კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულნი

გუშინ საკოლმეურნეო მინდვრებზე

გურჯაანის მტს-ში

ვ. ლუტიძე წარმატებით განაგრძობს მოსავლის აღებას სოფელ ვეჯნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკა 16 ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 14 ცენტნერი ხორბალი. იგი იბრძვის იმისათვის, რომ ათ დღეში აიღოს 400 ჰექტარი, ხოლო შემდეგ გაემგზავროს უაზახეთში და იქ მომკას 400 ჰექტარი.

კომბაინერმა ა. ტიბენკომ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 15 ჰექტარზე, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 16 ცენტნერი მარცვალი. ტიბენკო ეჯიბრება კომბაინერ ი. ბელიანინს.

ს. გოგოლაშვილი სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობაში პურეულს დღეში 14-16 ჰექტარზე იღებს. იგი შეჯიბრებაშია ჩაბმული კომბაინერ ს. სიმონიშვილთან.

წნორის მტს-ში

კომბაინერი რ. ბიძინაშვილი სადღეღამისო მუშაობაზეა გადასული და მკის 40-43 ჰექტარს. მან ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში რვა დღეში მომკა 307 ჰექტარი, გალეწა 3.300 ცენტნერი ხორბალი. ვ. ინაშვილმა სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში აიღო 18 ჰექტარი. ა. ბენაშვილმა თვითმავალი კომბაინით სულ დღემდე მომკა 120 ჰექტარი, გალეწა 1.200 ცენტნერი მარცვალი, დღეში იღებს 12 ჰექტარს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა.

ყვარლის მტს-ში

პ. მოდებაძე მოსავალს იღებს სოფელ ჭიკაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. უკანასკნელ ხუთდღიურში მომკა 94,5 ჰექტარი. ერთ დღეს მოსავალი აიღო 21 ჰექტარზე და გალეწა 25 ტონა ხორბალი.

ა. ტიტვინიძემ, რომელიც აგარის მტს-იდან ჩამოვიდა დასახმარებლად, გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ხუთდღეში მომკა 93 ჰექტარი. გუშინ აღებულ 19 ჰექტარზე გალეწა 23 ტონა მარცვალი.

ს. ლოლიაშვილმა ერთ დღეს მომკა 19 ჰექტარი, გალეწა 24 ტონა ხორბალი. შ. სამჭკუაშვილმა თვითმავალი კომბაინით ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 13 ჰექტარზე, გალეწა 18 ტონა მარცვალი.

ქვემო ალვანის მტს-ში

ქვემო ალვანის მტს-ის მექანიზატორები შარშანდელთან შედარებით 5 დღით ადრე შეუდგნენ პურის მკას. ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ მტს-ის კომბაინერი კ. უთურგაიძე და რუისის მტს-იდან დასახმარებლად მოსული კომბაინერი მაზმიშვილი. თვითეულ მათგანს მოსავალი აღებული აქვს 65 ჰექტარზე. მაზმიშვილმა 29 ივნისს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით პურეული 28 ჰექტარზე მომკა.

მაღრაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერმა შ. ბლიაძემ 3 სამუშაო დღეში 61 ჰექტარი პური აიღო. მკის დღიურ დავალებებს გადამეტებით ასრულებენ კომბაინერები ნიკოლოზ და ბესარიონ ნახუცრიშვილები.

რა აფერხებს მარგანეცის გამოზიდვას ჭიათურიდან

სოციალისტური მრეწველობის საერთო სწრაფ განვითარებასთან, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის ზრდასთან ერთად დღითიდღე იზრდება მეტალურგიულ საწარმოთა მოთხოვნილება ჭიათურის მაღალხარისხოვან მარგანეცზე.

ჭიათურელი მაღაროელები მარგანეცზე მოთხოვნილების ზრდას მადნის მზარდი ამოღებით უპასუხებენ. ჭიათურაში ამოღებული მადნის მთებია აღმართული. მაგრამ მაღაროელთა თავდადებული შრომის ამ ნაყოფის გაზიდვას ჭიათურიდან დროულად და შეუფერხებლად ვერ ახერხებს ამიერკავკასიის რკინიგზა.

გასულ წელს რკინიგზელებმა მარგანეცის გადაზიდვის სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულეს. გაუზიდავი დარჩათ ძრავალი ათასი ვაგონი მადანი. წელსაც ჩამორჩენაა ამ დარგში. ჭიათურის, შორაპნისა და ფოთის უბნებზე ტვირთზიდვა მოუწესრიგებელია.

ამიერკავკასიის რკინიგზის ზოგიერთი მუშაკი, რომელიც მარგანეცის გადაზიდვას ხელმძღვანელობს, სათანადო მონდომებით არ მუშაობს მადნის ტრანსპორტირების გაუმჯობესებისათვის, არ აკლინებს ფარულ რეზერვებს და ურიგდება იმ მცდარ შეხედულებას, თითქოს შორაპან-ჭიათურის რკინიგზის ხაზის გამტარუნარიანობა არ იძლეოდეს მარგანეცის ტრანსპორტირების გადიდების შესაძლებლობებს.

ამავე დროს ცნობილია, რომ სწორედ ამ ხაზზე გზის უფროსის მოადგილემ ამხ. ი. ქარუმიძემ, რომელიც იქ იყო ჩასული სპეციალურად იმისათვის, რომ მიეღწია ხაზზე გადაზიდვის ზრდისათვის, შორაპან-ჭიათურის უბანზე მნიშვნელოვნად გაადიდა მატარებელთა წონა. ახლა ამ ხაზზე შემადგენლობები დაჰყავთ არა ერთი, არამედ ორი, უკანასკნელ დღეებში სამი ლოკომოტივითაც. ცდამ გვიჩვენა, რომ ორმაგი წევის დროს თვითეულ შემადგენლობას შესაძლებელია დაემატოს 6 ვაგონი, ხოლო სამმაგი წევისას — 16 ვაგონი.

გამონახულია სხვა რეზერვიც. ამ დღეებში შორაპნის სადგურის ვიწრო ლიანდაგებზე მუშაობა დაიწყო მეორე სამანევრო ორთქლმავალმა. ამის შედეგად თვალსაჩინოდ დაჩქარდა ვაგონების მიწოდება და გატახა გადმოსატვირთავი ესტაკადებიდან, დაჩქარდა მადნით დატვირთულ შემადგენლობათა ფორმირება და დაშლა. მარტო ამ ღონისძიების განხორციელებით 19 და 20 მაისს შორაპნის სადგურში მადნის გადმოტვირთვის გეგმა მესრულებულ იქნა 64 ვაგონის გადაჭარბებით.

მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული შესაძლებლობებისა, აქ ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს რიტმულ, შეწყობილ და თანაზომიერ მუშაობას. ერთ პერიოდში მოპოვებულ წარმატებას ფარავს მეორე პერიოდში დაშვებული ჩამორჩენა და საბოლოო ანგარიშით მარგანეცის გადაზიდვის გეგმა მაინც შეუსრულებელი რჩება.

ეს იმის შედეგია, რომ ჭიათურის მარგანეცის ტრესტისა და ადგილობრივი რკინიგზის სადგურის მუშაკებს შორის არ არის მჭიდრო, საქმიანი კავშირი, სადგურსა და ტრესტს დღემდე არა აქვთ შემუშავებული მუშაობის ერთიანი ტექნოლოგიური გეგმა.

ჭიათურის ერთ-ერთ უდიდეს გამაუხვებელ ფაბრიკაში მხოლოდ ერთი ჩიხისებრი ლიანდაგია. ამიტომ, როცა აქ ვაგონთა ერთი ჯგუფის მიწოდების ან გამოყვანის სამანევრო ოპერაციები სრულდება, შეუძლებელია ვაგონთა მეორე ჯგუფის დატვირთვის მოწყობა. ყოველი ახალი ჯგუფის ჩაყენების დროს უქმად იკარგება 10-15 წუთი, ცდებიან მტვირთავები, მცირდება მათი შრომის ნაყოფიერება. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა იქვე რამდენიმე მეტრის მანძილზე დაგებულ იქნას მეორე ლიანდაგი. ამით თავიდან იქნება აცილებული შემხვედრი რეისები, ვაგონთა ჯგუფების მიწოდებისა და გამოყვანის ოპერაციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იქნება და შესაძლებელი გახდება დატვირთვის დაჩქარება.

მაღაროებში საჭირო სამაგრი ხეტყის მასალა შორაპნიდან ჭიათურაში მარგანეცის ვაგონებით იგზავნება. ამ მასალის გადმოცლა მექანიზებულად უნდა ხდებოდეს, მაგრამ ეს შრომატევადი სამუშაო ჯერ ისევ ხელით სრულდება და ამით თვითეული ვაგონის მოცდენა საგრძნობლად იზრდება.

ჭიათურის სადგურში ღამით მუშაობას დიდად აფერხებს ეგრეთწოდებული სამანევრო რაიონების ცუდი განათებაც.

შორაპნის სალიანდაგო დისტანციის ზოგიერთი მუშაკის მოუქნელი მუშაობის შედეგად გზაში მემანქანეები ხშირად ხვდებიან სიჩქარის შემზღუდველ გამაფრთხილებელ ნიშნებს. ეს აყოვნებს მატარებელთა მოძრაობას. ლოკომოტივთა მემანქანეები ვერ ავითარებენ სიჩქარეს. განსაკუთრებით რთულდება მძიმე წონის მატარებლების წაყვანა.

ამ უბანში მარგანეცის როგორც დატვირთული, ისე ცარიელი შემადგენლობები გადაქცეული „მოხალისეთა“ სამგზავრო მატარებლებად. „მოხალისე“ მგზავრები ხშირად შემადგენლობებს სტოპკრანით აჩერებენ იქ, სადაც მათთვის ჩამოსასვლელად მოსახერხებელია. არც მილიცია ჩანს, არც არავინ, რომ აღკვეთოს სამადნო მატარებლებზე ხალხის ასვლა.

ზოგჯერ ბეღლევის, ბოსლევის, მარტოთუბნის სადგურების მორიგეები მოუსაზრებლად მოქმედებენ. მატარებელთა შეხვედრის დროს აღმართიან ნიშანსვეტებთან აჩერებენ მძიმე წონის მატარებლებს და პირველ რიგში იღებენ იმ მატარებლებს, რომლებიც დაღმართისაკენ მიდიან.

შორაპნის სადგურში არათანაბრად მოდიან მარგანეცით დატვირთული მატარებლები. ეს იმის შედეგია, რომ დაწესებული არ არის მარგანეცით დატვირთული მატარებლების მოძრაობის მტკიცე გრაფიკი, რაც ფუშავს შორაპნის სადგურის მუშაობას.

მარგანეცის მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის უქონლობა გავლენას ახდენს მევაგონეთა და მეორთქლმავლეთა მუშაობაზეც. არ იციან, როდის გაგზავნება ესა თუ ის მატარებელი, და ამიტომ ისინი ვერ ახერხებენ რეისისათვის კარგად მომზადებას, რაც ზოგჯერ მოძრაობის შეფერხებას იწვევს.

შორაპნში ვიწრო ლიანდაგის ვაგონების გადმოცლის დაგვიანებას ხშირად იწვევს ფართო ლიანდაგის ვაგონების სიმცირე. ცარიელი ვაგონების უქონლობა გამოწვეულია იმით, რომ ფოთის სადგური ვერ ახერხებს ვაგონების დროულად გადამუშავებას. წელს განვლილი თვეების მანძილზე თვითეული ვაგონის მოცდენამ ფოთში ნორმას საგრძნობლად გადაამეტა.

გზის სამტრედიის განყოფილების სადისპეტჩეროო აპარატის მუშაკები უხეიროდ ხელმძღვანელობენ შორაპან-ფოთის უბანზე მარგანეცის შემადგენლობების მოძრაობას.

ყველა ამ ნაკლს დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო. ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელებმა ყველა რეზერვი უნდა აამოქმედონ მეტალურგიული მრეწველობისათვის მარგანეცის მადნის მიწოდების გასაუმჯობესებლად.

ა. კუჭუხიძე,
გ. დავლაშერიძე.

ᲓᲦᲔᲡ ᲚᲐᲯᲐᲜᲣᲠᲩᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

წელს ლაჯანურჩესის მშენებლებმა მიზნად დაისახეს ისეთი ტემპით განაგრძონ მუშაობა ყველა სამშენებლო უბანზე, რომ 1956 წლის ზოლოსათვის შეძლონ მდინარე ცხენისწყლის გადაგდება ლაჯანურის ხეობით რიონის კალაპოტში. ეს მეტად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანაა. რიონის კალაპოტში ცხენისწყლის გადაგდებით იქმნება ერთი მხრივ ცხენისწყლის რეგულირების შესაძლებლობა და მეორე მხრივ რიონის წყლის რესურსებით მომუშავე ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების 40-50 პროცენტით გადიდების პერსპექტივა.

სხვადასხვა ობიექტების მშენებლებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდა ინჟინერ ვ. კასრაძის გვირაბმშენებელთა უბნის კოლექტივი. მას მხარს უსწორებს გვირაბმშენებელთა მეორე უბნის კოლექტივი, რომელსაც გ. კუჭუხიძე ხელმძღვანელობს. კარგ მაჩვენებლებს გვაძლევენ ცვლები, რომლებსაც ოსტატები ს. ჩაჩხიანი და ე. ხეცურიანი ხელმძღვანელობენ.

მშენებლებმა წელს მაღალი ტემპი აიღეს, უკვე მიაღწიეს გვირაბმშენებლობაში სანგრევი ხაზის წინწაწევას დღეღამეში 2—2,5 გრძივი მეტრით. ეს წარმატება მოიპოვეს უახლესი სამშენებლო ტექნიკის უნარიანად გამოყენებით, გაცდენის აღმოფხვრით და მექანიზმების სრული სიმძლავრეების ათვისებით. ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ სამუშაოთა მწარმოებლებს რ. ქრისტეფორიდის, ა. თუმანოვს, ა. ოლეინიკოვსა და ი. სიდოროვს.

პატარა მდინარის ლაჯანურის ხეობაში ენთუზიაზმის მომგვრელი შრომითი ხმაურია, ყოველი მხრიდან სამშენებლო მექანიზმთა გუგუნი მოისმის. ექსკავატორები, ბულდოზერები მუშაობა საცხოვრებელი სახლების ასაგებად მოედნებს ამზადებენ. თვითსაცლელ ავტომობილთა ქარავნები განუწყვეტლივ ეზიდებიან მშენებლობის სხვადასხვა უბნისაკენ საშენ მასალებს. მუშაობა ცენტრალურ დაბაში წელს მშენებელი მუშებისათვის უკვე აეგეს 300-ადგილიანი კლუბი, 4-სართულიანი სახლი, ამბანო.

ლაჯანურელ მშენებლებს ყველა პირობა აქვთ მაღალნაყოფიერი შრომისათვის, კულტურულად დასვენებისათვის, გართობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის. მაგრამ მშენებლები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ იშვიათად იმართება მათთვის ლექციები, ცარიელია ჟურნალ-გაზეთების კიოსკი, იშვიათად უჩვენებენ კინოსურათებს.

მშენებლები ვერ ემადლიერებიან ქუთაისისა და თვით დედაქალაქ თბილისის თეატრების კოლექტივებს და მათს მსახიობთა ბრიგადებს. ამბობენ:

— შარშან საზაფხულო საესტრადო თეატრის შენობა მოვაწყეთ, თუმცა მარტო იმიტომ, რომ გრიბოედოვის თეატრის მსახიობთა ბრიგადას მხოლოდ ერთი კონცერტი გაემართა. სხვა თეატრებიდან აქ ჩამოსული მსახიობები და საესტრადო ძალები არ გვინახავს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ყურად უნდა იღონ მშენებელთა ასეთი საყვედურები.

ა. ბეშიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის შიმდინარეობს თამბაქოს შეტეხა. სურათზე კოლმეურნე ე. კურტანიძე ამოწმებენ თამბაქოს გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობა-(მარცხნიდან): აგრონომი ბ. გოგოლაძე და ხარისხს.

ფოტო შ. გოქაძისა.

თამბაქოს მოსავლის აღება

გაგრა. (საკ. კორ.). სოფელ ბაღნარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა თამბაქოს რგვა. აქ თამბაქოს პლანტაციებს საუკეთესოდ უვლიან. ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება.

ცალკეულ ნაკვეთებზე დაიწყო თამბაქოს პირველი შეტეხა. კოლმეურნე ა. მარქარიანმა 200-ზე მეტი ზონარი-მეტრი თამბაქო შეტეხა და ანემსა.

რუმინელ და ქართველ ქალთა მეგობრობა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). 1953 წელს რუმინეთის ქალთა დელეგაცია რუმინეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატის ტუდორა პირლოგის მეთაურობით ესტუმრა ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებს. სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა შრომითი საქმიანობის გაცნობისას ამხ. ტუდორა პირლოგი და დელეგაციის სხვა წევრები დაინტერესდნენ ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ამხ. თამარ ყუფუნიას მუშაობის მეთოდებით. ამ დღიდან რუმინელ და ქართველ კოლმეურნე ქალთა შორის მეგობრული ურთიერთობა არ შეწყვეტილა.

1954 წელს ამხ. თ. ყუფუნიამ ტ. პირლოგს გაუგზავნა მეგობრული ბარათი, სადაც იგი რუმინელ მეგობარს აცნობდა საკოლმეურნეო შრომაში მოპოვებულ მიღწევებს და მუშაობის იმ ხერხებს, რომელთა მეოხებით მას ყოველწლიურად მოჰყავს ჩაის უხვი მოსავალი.

ამას წინათ ამხ. თ. ყუფუნიამ ამხ. ტ. პირლოგისაგან მიიღო საპასუხო წერილი და რუმინეთ ყურნალ „სტონკას“ (ტლეხი ქალი) ახალი ნომერი. ბარათში ამხ. ტ. პირლოგი წერს:

„ძვირფასო თამარ! ბოდიშს ვიხდი, რომ დაგიგვიანეთ თქვენი წერილის პასუხი. მე ხშირად ვფიქრობდი თქვენზე. ძალიან გამეხარდა, როცა გავიგე, რომ ჩვენი ქალების დელეგაციას, რომელიც გასულ წელს საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა, საუბარი ჰქონია თქვენთან და მოსკოვში სურათიც გადაგიღიათ ერთად საოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ეს ბევრისმთქმელი ფოტოსურათი გამოიყენა ჩვენმა ყურნალმა თავისი ყდისათვის. გიგზავნით ამ ყურნალს და გულით გილოცავთ შრომაში მოპოვებულ ახალ წარმატებას — სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიდ ოქროს მედალს.

ამავე დროს მინდა მოგწეროთ, რომ დიდი ყურადღებით გავეცანით თქვენს რჩევა-დარიგებებს, რამაც საშუალება მოგვცა მეფრინველეობის ფერმა რენტაბელური და მოგებიანი გავხადეთ. თქვენი რჩევა სასიმინდე ფართობის გამოყოფისა და სიმინდის ხელოვნური დამტვერვის შესახებ, რითაც თქვენი ბრიგადა წელს სიმინდის სარეკორდო მოსავლის მიღებას აპირებს, გავითვალისწინეთ ჩვენს აგროღონისძიებებში.

ველი თქვენს წერილს. მოგვწერეთ, თუ როგორ მიდის თქვენთან მინდვრის სამუშაოები, რა ახალ პროგრესულ მეთოდებს ნერგავთ მეცხოველეობაში. მოგვწერეთ თქვენს პირად ცხოვრებაზე, ქალთა შორის „ულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე.

მაგრად გართმევთ ხელს — ტუდორა პირლოგი“.

ამხ. თ. ყუფუნიას განზრახული აქვს ტ. პირლოგის სახელზე გაგზავნილი სპასუხო წერილით გააცნოს რუმინელ ქალებს ის მიღწევები, რასაც ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მოკლე დროში მიაღწია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული პლენუმების მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელების შედეგად.

სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მეტი დახმარება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების წარმატებით განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლას. ახლა მთავარია განვაზოგადოთ სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილება, დავრაზმოთ კოლმეურნეთა მასები სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ამ ამოცანის შესრულებაში გარკვეული მოვალეობა აკისრია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტს, რომელიც მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

სულ უფრო იზრდება სოფლის მშრომელთა კულტურული მოთხოვნილების დონე, ამასთან ერთად იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელიც. მშრომელთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება კულტურის მრავალი სახლი, სასოფლო კლუბები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და სხვა კულტურული დაწესებულებები. რესპუბლიკური მეთოდაბინეტი ნაყოფიერ დახმარებას უწევს ამ დაწესებულებათა მუშაკებს. კაბინეტი სისტემატურად გზავნის ადგილებზე სპეციალისტ მეთოდისტებს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესასწავლად და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

შარშან და წელს კაბინეტმა დახმარება გაუწია 1.140 საკლუბო დაწესებულებას. მეთოდისტები საკლუბო დაწესებულებათა მუშაკებისათვის ადგილებზე აწყობენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს, ეხმარებიან გეგმების შედგენაში, სწარიო მუშაობის ორგანიზაციაში, აქტივის შემოკრებაში და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დანერგვაში. ისინი აგრეთვე აუკრძალავენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით აღწევენ მათს დროულად აღმოფხვრას.

რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. რესპუბლიკის ყველა რაიონში ამართება ყოველთვიური ორდღიანი რაიონული სემინარები. კაბინეტი ადგენს და ადგილებზე გზავნის სემინარის სასწავლო გეგმებს, დამხმარე მასალებს.

გასულ წელს კაბინეტმა გამოსცა და ადგილებზე გაგზავნა 22 სახელწოდების მეთოდური წერილი, გამოსცა მეთოდური ბროშურები: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებანი და საკლუბო დაწესებულებათა ამოცანები“, „პროგრამები და მეთოდური მითითებანი საკლუბო დაწესებულებებთან არსებული აგრონომიტექნიკური პროპაგანდის წრეებისათვის“, „თემატური საღამოს ორგანიზაცია საკლუბო დაწესებულებაში“, „1905 წლის რევოლუციის 50 წლისთავი და საკლუბო დაწესებულებათა ამოცანები“ და სხვ. საკლუბო თვითმქმედი წრეების სახელმძღვანელოდ მეთოდაბინეტმა გამოსცა პროფესორ გ. ჩხეიძის მეთოდური ბროშურა „თვითმოქმედი საგუნდო წრეები და მათთან მუშაობა საკლუბო დაწესებულებებში“, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ჯავრიშვილის — „ქორეოგრაფიული წრის ორგანიზაციული, სასწავლო და მხატვრული მუშაობა საკლუბო დაწესებულებებში“ და სხვ.

მეთოდაბინეტთან არსებობს მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილი, რომელიც მომსახურებას უწევს აღმოსავლეთ საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობას. ბიბლიოთეკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მთიან რაიონებს. ამ ბიბლიოთეკის ლიტერატურის ფონდი 16.500-ზე მეტ წიგნს შეადგენს. ბიბლიოთეკის ლიტერატურით ფართოდ სარგებლობენ კოლმეურნეები, ბრიგადირები, მერგოლურები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშა-მოსამსახურეები, [illegible] ტექნიკოსები, სოფლის მასწავლებლები, მოწავლეები.

ბიბლიოთეკა-ავტომობილი წიგნით მომსახურების გარდა კოლმეურნეობებში აწყობს ხმამაღალა კითხვა-საუბრებს, მკითხველთა კონფერენციებს.

შარშან და წელს ბიბლიოთეკამ მომსახურება გაუწია რესპუბლიკის 70 სოფლის რამდენიმე ათას მკითხველს, გასცა 16 ათასზე მეტი წიგნი და ჟურნალი, მოაწყო 50-ზე მეტი მოძრავი გამოფენა.

რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აგრეთვე მომთაბარე მწყემსებთან, საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე. კაბინეტი ყოველწლიურად გზავნის 30 კულტმუშაკს ორ-ორი თვით, ისინი სპეციალური პროგრამის მიხედვით კითხულობენ მწყემსებთან ლექციებ-საუბრებს. შარშან და წელს მოეწყო 6.000-ზე მეტი ლექცია-საუბარი. მეთოდკაბინეტის მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილი ამყამად ჩრდილოეთ კავკასიის მომთაბარე მწყემსებს ემსახურება.

მეთოდკაბინეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მაღალმთიანი რაიონებს შორეული სოფლების მომსახურებას. ამ მიზნით მეთოდისტები ხშირად იგზავნებიან ისეთ რაიონებში, როგორიც არის მესტია, ლენტეხი, ყაზბეგი, ონი, ცაგერი, დმანისი, ადიგენი, ხული და სხვ.

მეთოდკაბინეტის დახმარებას უნარიანად იყენებენ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები. ამ მხრივ გამოირჩევა ამბროლაურის რაიონი, სადაც ყოველწლიურად იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. საინტერესო მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში ლიხეთის, ურავის, წესის, სინათლის, ხვანჭკარისა და სხვა სასოფლო კლუბები.

კარგად მუშაობს გეგეჭკორის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება. რაიონის შრომელებს მომსახურებას უწევს 35 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. სასოფლო კლუბებთან არსებობს 26 აგროზოოტექნიკური წრე, რომელშიც 300-ზე მეტი კაცია გაერთიანებული. კულტურის განყოფილებისა და სარაიონო კულტსახლის მუშაკები ადგილებზე სისტემატურად ეხმარებიან სასოფლო კლუბების მუშაკებს.

მაგრამ ყველგან ასე როდია. წითელწყაროს რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. კულტურის რაიონული განყოფილების გამგე ბ. ჯანიაშვილი სუსტად ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, არ ეწყობა გამოფენები, კითხვა-საუბრები, თემატური კითხვა-პასუხის საღამოები. მსგავსი მდგომარეობაა თეთრი წყაროს და ხაშურის რაიონების მთელ რიგ სოფლებში.

უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის მეთოდკაბინეტს სუსტად ეხმარება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველო (უფროსი ამხ. ი. ახლედიანი). თავისი არსებობის განმავლობაში სამინისტრომ მხოლოდ ერთხელ განიხილა მეთოდკაბინეტის მუშაობის საკითხი და ისიც არ იყო სათანადოდ მომზადებული. უფრო მეტიც. დახმარების ნაცვლად მეთოდკაბინეტში შტატით გათვალისწინებული მდივანი-მემანქანე რატომდაც სამინისტროში ზის, ეს იმ დროს, როცა კაბინეტის მეურნეობა სრულიად მოუწესრიგებელია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, მისმა რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქმედითი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ა. ნინუა.

პროფკავშირულ თემაზე

გავაუმჯობესოთ პროფკავშირული აქტივის სწავლება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ პროფკავშირების XI ყრილობისადმი მისალმებაში ახალი ამოცანები დაუსახეს პროფკავშირულ ორგანიზაციებს. პროფკავშირებმა ძირფესვიანად უნდა გარდაქმნან და გაუმჯობესონ მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მასების შემოქმედებითი ინიციატივა უნდა წარმართონ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის გაფართოების, შრომის მოწინავე მეთოდების, უახლესი ტექნიკის, გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვა-გამოყენებისაკენ, ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაკენ.

საჭიროა პროფორგანიზაციები განუწყვეტლივ აუმჯობესებდნენ და სრულყოფდნენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ახალი ძალით აჩაღებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. პროფკავშირები ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ მუშებისა და მოსამსახურეების მუდამ მზარდ კულტურულ-მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

პროფორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა საწარმოო თათბირებისადმი, ამაღლონ მათი როლი, როგორც ისეთი ორგანოებისა, რომელთა მეშვეობით მუშები და მოსამსახურეები აქტიურად მონაწილეობენ საწარმოთა მართვაში და მათი მუშაობის გაუმჯობესებაში.

ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაჭრა პროფორგანიზაციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ მათს მუშაობაში ჩაბმული იქნება ფართო პროფკავშირული აქტივი.

პირველადი პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების დროს, რაც ყოველწლიურად ეწყობა, პროფკავშირული აქტივის რიგები ივსება ახალი ადამიანებით, რომლებსაც პროფკავშირული მუშაობის ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ, მაგრამ გამსჭვალული არიან სურვილით აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რასაც პროფკავშირები ეწევიან. საჭიროა დავეხმაროთ ამ ადამიანებს, რათა სწრაფად დაეუფლონ მინდობილ საქმეს, შეიძინონ პროფკავშირული მუშაობის ცოდნა და გამოცდილება, გარკვნენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ახალ ამოცანებში, ზემდგომი პროფკავშირული ორგანოების დადგენილებებსა და დირექტივებში, საბჭოთა პროფკავშირების წესდებაში და სხვ. ამ მიზნას ემსახურება პროფკავშირული აქტივის სწავლება მოკლევადიან სემინარებში, რასაც სისტემატურად აწყობენ დარგობრივი პროფკავშირები და საქართველოს პროფსაბჭო.

პროფკავშირული აქტივის სწავლების, მისი პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების ეს ფორმა საკმაოდ გამართლებულია, თუ სემინარები თავის დროზე და მაღალ იდეურ დონეზე იმართება.

სემინარებში ჩაბმული არიან საფაბრიკო-საქარხნო და საამქროთა კომიტეტების, აგრეთვე დარგობრივი კომისიების წევრები, პროფჯგუფორგანიზატორები და სხვა პროფკავშირული მუშაკები (ცულტორგანიზატორები, სოცდაზღვევის დელეგატები და შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორები, პროფესიული კავშირთა საკლუბო დაწესებულებების და ბიბლიოთეკების მუშაკები, პროფკავშირული ორგანოების სარევიზიო კომისიების წევრები და სხვ.). შარშან საქართველოში პროფკავშირული აქტივის სემინარები გაიარა 61 ათასმა კაცმა, აქედან საქართველოს პროფსაბჭოს სტაციონარული საკურსო ბაზის მიერ მოწყობილი სემინარები — 4.822 კაცმა.

სემინარების თავის დროზე მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირული აქტივის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმისათვის. ამიტომ სწავლება, როგორც წესი, უნდა ეწყობოდეს პროფკავშირული ორგანოების არჩევნების ჩატარებისთანავე, ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების ხარისხს. სწავლების შინაარსი განსაზღვრულია საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული ტიპური სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, მაგრამ ადგილებზე სემინარების ჩატარების დროს ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ფაქტიური მასალები, რომლებიც ასახავენ ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებასა და საქმიანობას, მათს ბრძოლას პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

სემინარებზე მეცადინეობა უნდა მიმდინარეობდეს აზრთა ცოცხალი გაცვლის მეთოდით, ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მაგალითების, დადებითი გამოცდილების გარჩევით და ერთიერთ გაზიარებით. სემინარის მონაწილეებს ღრმად და ყოველმხრივ უნდა განვმარტოს ყველა მათთვის საინტერესო საკითხი.

პროფკავშირული აქტივის სწავლება შარშან კარგად მოაწყეს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის და სასურსათო მრეწველობის მუშათა, მედიცინის და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა და ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კურსებისათვის დროულად შეარჩიეს ლექტორ-მასწავლებელთა კადრები, მოამზადეს კურსები საჭირო ლიტერატურითა და მასალებით, სწორად დაკომპლექტეს ჯგუფები, ამ მხრივ კარგად იმუშავეს აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი და კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნების, მაუდ-კამოლის კომბინატის და სხვა საწარმოთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ პროფკავშირული აქტივის მომზადების მათთვის დაწესებული დავალება ვერ შეასრულა. ასეთის მიეკუთვნებიან კულტურის მუშაკთა, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა, სახელმწიფო ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები, რომლებმაც პროფკავშირული აქტივის მომზადების დავალება შარშან მხოლოდ 58-დან 80 პროცენტამდე შეასრულეს.

პროფკავშირული აქტივის სწავლების საქმეში ასეთი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ზოგიერთ პროფკავშირულ ორგანიზაციას დაგვიანებით გაახსენდა ეს მნიშვნელოვანი საქმე, კურსებისათვის დროზე არ შეარჩია ლექტორ-მასწავლებელი, ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღება არ გამახვილა მუშაობის ამ სერიოზულ უბნისადმი.

სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მოწყობილ მთელ რიგ სემინარებზე იყო პროგრამით გათვალისწინებული მასალის შეკვეცის ფაქტები, რამაც ზიანი მიაყენა სწავლების ხარისხს. ასე მოხდა, მაგალითად, ოჩხამურის და აჩიგვარის ჩაის, ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში კი ასეთი შემთხვევები მასობრივია. ახლა, როცა სოფლის მეურნეობას პარტიამ და მთ

სარედაქციო ფოსტიდან

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები იგრძვიან მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს, მთელ საბჭოთა ხალხს დიდი ამოცანები დაუსახა. პლენუმის გადაწყვეტილებაა უახლოეს 5-6 წლიწადში მარცვლეულის ყოველწლიური საშუალო მოსავალი აყვანილ იქნას 10 მილიარდ ფუთამდე. გრანდიოზული ამოცანებია დასახული აგრეთვე მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში. ამ დიდმნიშვნელოვანი პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები, სასოფლო პარტიული ორგანიზაციები. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში მომუშავე კომუნისტები თავიანთი თავდადებული შრომით მაგალითს უჩვენებენ უპარტიო ამხანაგებს, რაზმავენ მათ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. სოფლად გაჩაღებული თავდადებული მუშაობის შესახებ რედაქციაში მრავალი წერილი მოდის.

— საკოლმეურნეო სოფელში დიდი გამოცოცხლებაა, — გვატყობინებს პარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანი ამხ. **ა. ძაძამია**, — კოლმეურნეები, მექანიზატორები, ყველა მშრომელი მინდვრად არიან გასულნი, ძლიერდება მუშაობის ტემპი. კოლმეურნეები დიდ ინტერესს იჩენენ სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი პრაქტიკისადმი. გამოცოცხლდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, მაღალ იდეურ დონეზე ეწყობა პარტიული კრებები. მთავარი ყურადღება ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. გაძლიერდა საგიტაციო-მასობრივი საქმიანობა, აგიტკოლექტივები შეივსო უნარიანი და გამოცდილი აგიტატორებით. მრავალმხრივ საინტერესო მუშაობას ეწევა ცხაკაიას მტს-ის აგიტკოლექტივი, რომელსაც ვეტექიმი ხ. ერმოლაევი ხელმძღვანელობს. აგიტატორები მექანიზატორებს აცნობენ სამეურნეო ამოცანებს, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობის საკითხებს, თავიანთი მგზნებარე სიტყვებით მოუწოდებენ ახალი წარმატებებისაკენ. მართლაც შესანიშნავად მუშაობენ მეხუთე და მეექვსე ბრიგადები, ტრაქტორისტები ვ. ხუნწარია, რ. მარკოზია, თ. დავითაია, ბ. ესართია და სხვები.

განსაკუთრებული შრომითი აღმავლობაა სოფლების ფოცხოს, ძველი სენაკის, თეკლათის და სხვა კოლმეურნეობებში. გაჩაღდა ბრძოლა მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის. ამ კეთილშობილურ საქმეს სათავეში უდგანან საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები.

ხულოს რაიონის მშრომელებმა, — რედაქციას წერს ამხ. **ა. ქონიაძე**, — ამთავითვე სერიოზული მუშაობა გააჩაღეს სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამ მიზნით საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ არსებულ რეზერვებს, მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს, აფართოებენ სარწყავ სისტემას, წარმოებაში ნერგავენ ხელოვნური დამტვერვის მეთოდს.

ხულოს რაიონის ეკონომიკაში მეცხოველეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს. სიმინდის წარმოების გადიდებით მნიშვნელოვნად გაიზრდება მეცხოველეობის საკვები მარაგი, საფუძველი ჩაეყრება მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ეს გარემოება კარგად აქვთ შეგნებული რაიონის მშრომელებს და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მთავარ ყურადღებას აქცევენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებას. კოლმეურნეობებში ფართოდ ინერგება სიმინდის ადგილობრივი ჯიშები „თეთრი ბროლა“, „წითელი ჯიში“ და სხვ., რომლებიც კარგად ეგუებიან მაღალმთიანი რაიონების კლიმატურ პირობებს.

რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან კომუნისტები. ისინი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ კოლმეურნეებს. შრომის შესანიშნავ ნიმუშს იძლევიან სოფელ ოქრუაშვილების XIX პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. ანანიძე, საციხურის მექანიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი კომუნისტი ა. მუშარბაძე და სხვ.

კაჭრეთის რაიონის სოფელ ჩაილურის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის შესახებ რედაქციას ატყობინებს ამხ. **გ. ჯავახიშვილი.** კოლმეურნეობის პარტიულმა კრებამ, — წერს იგი, — დროულად განიხილა საოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგრონომიულ ვადებში ჩატარების საკითხი და დასახა ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობების პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის ბრძოლას. საჭიროა არ შეანელონ მუშაობა, მიიღონ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ მივაღწიოთ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებების შესრულებას, მოსავლიანობის მკვეთრ აღმავლობას და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას.



ხულოს რაიონული საავადმყოფოს ახალი შენობა.
სურათი გადაღებულია ფოტომოყვარულ მ. არომელაძის მიერ.

ახალი კონსტრუქციის მაკრატელი

ბაღის მაკრატელს (სეკატორს) დიდი გამოყენება აქვს სუბტროპიკულ მეურნეობაში, ხეხილის ბაღებსა და ვენახებში.

ჩაის ბუჩქის მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლისას უკანასკნელ დრომდე ჩვეულებრივად იყენებდნენ ბაღის ორ ხელსაწყოს: ბაღის მაკრატელსა და ხერხს. 10-12 მილიმეტრამდე დიამეტრის სიმსხო ტოტებს ჭრიდნენ მაკრატლით, ხოლო უფრო მსხვილ ტოტებს — ხერხით. სუბტროპიკულ მეურნეობაში გამოსაყენებელი ხელის იარაღების რაციონალიზაციის მიზნით ჩვენ მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მიზანშეწონილად ვცანით ჩაის ბუჩქის მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლაზე ბაღის მაკრატელი და ხერხი შეგვეცვალა გაუმჯობესებული და უფრო წარმადი ინსტრუმენტით, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სისტემის სპეციალური მაკრატლით. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ჩაის ბუჩქის მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლისათვის.

ინსტიტუტის სისტემის მაკრატელი, რომელსაც აქვს არქიმედის ხვეის ფორმის მჭრელი ნაწილი, თავისუფლად ჭრის ჩაის ბუჩქს 30 მილიმეტრი დიამეტრის ტოტებს.

ჩაის ბუჩქის მძიმე გასხვლისათვის სპეციალური მაკრატლის შექმნის გამოცდილებამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვემზადებინა აგრეთვე ბაღეში სამუშაოდ ხელის მაკრატლის გაუმჯობესებული ტიპი, რომელიც ჩვეულებრივი ხელის მაკრატლისაგან განსხვავდება ნაკლები ზომით, წონით.

იმისათვის, რომ მაკრატლის მჭრელ პირებს შუა მთავრდებეს 15 მილიმეტრი დიამეტრის ტოტი, ინსტიტუტის კონსტრუქციის მაკრატლისათვის საჭიროა ხახელურების გახსნა 53°-ის კუთხით, ხოლო ჩვეულებრივი მაკრატლისათვის ეს კუთხე შეადგენს 63°. ამიტომ მსხვილი ტოტების გადაჭრისას ამ კონსტრუქციის მაკრატლის ხელში დაჭერა უფრო მოხერხებულად შეიძლება.

ინსტიტუტის ექსპერიმენტულ სახელოსნოში დამზადებულ იქნა რამდენიმე ცალი ახალი კონსტრუქციის მაკრატელი, რომლებიც განსხვავდებიან სხვადასხვა ზომისა და სიმაგრის ტოტების გადაჭრაზე. შედეგები ყველა შემთხვევაში დამაკმაყოფილებელი იყო.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით ინსტიტუტი დიდი რაოდენობით ამზადებს ახალი კონსტრუქციის მაკრატლებს ხეხილის ბაღებში, ვენახებსა და სუბტროპიკულ მეურნეობებში ფართო საწარმოო გამოცდის მიზნით.

პ. სკორინი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ნ. კიბალნიკოვი,
უმცროსი მეცნიერი მუშაკი.

უფრო კეთილმოწყობილი გავხადოთ კურორტი სურამი

კურორტ სურამის ჰავა და სამკურნალო გოგირდოვანი წყლები განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მალარიითა და რევმატიზმებით დაავადებულებზე. სურამი აგრეთვე ბავშვთა გაჯანსაღების საუკეთესო კერაა. აქ ზაფხულობით მუშაობს ოთხი სანატორიუმი, ერთი დასასვენებელი სახლი და მრავალი პიონერთა ბანაკი.

მიუხედავად იმისა, რომ სურამის კეთილმოწყობისათვის უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა, მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებელი არ არის. ადგილობრივმა საკურორტო სამმართველომ სურამში შვიდი წლის წინათ დაიწყო სტადიონის მშენებლობა, მაგრამ მისი დამთავრება დღემდე ჭიანურდება.

სურამის ცენტრში პავილიონის მშენებლობა ხელშეკრულების თანახმად დაკისრებული აქვს ხაშურის სამშენებლო სარემონტო კანტორას (მმართველი ვ. გიორგაძე). სარემონტო კანტორამ გასულ წელს ჩაუყარა საძირკველი პავილიონს, დამთავრების ვადად დაწესებული იყო პირველი ივლისი, მაგრამ ამჟამად მშენებლობა შეჩერებულია.

ზაფხულობით როგორც დამსვენებლებს, ისე სურამის მოსახლეობას ძლიერ აწუხებს დაბის ცენტრში სილით დატვირთული მანქანების ხშირი მოძრაობა, რითაც მტვერი დგება. სურამის საადგილო საბჭომ რამდენჯერმე მოითხოვა, რომ მანქანებით სილის გადაზიდვა ეწარმოებინათ მეორე გზით, მაგრამ რუსთავის მშენებლობის რწმუნებული სურამის კარიერზე საადგილო საბჭოს კანონიერ მოთხოვნას ანგარიშს არ უწევს.

საკავშირო პროფსაბჭოს სურამის სანატორიუმში უკვე დაიწყო საკურორტო სეზონი. დამსვენებლები თანდათან ემატებიან, მაგრამ ხაშურ-სურამის გზატკეცილზე ავტობუსების მოძრაობაში ადგილი აქვს უწესრიგობას, ავტობუსებში ორჯერ მეტ მგზავრებს უშვებენ, ვიდრე ეს გათვალისწინებულია. ზოგჯერ ავტობუსი არ მიდის დანიშნულების ადგილამდე და ახლო მანძილიდან ბრუნდება. ეს ფაქტები ცნობილია ბორჯომის ავტოტრანსის დირექციისათვის, რომლის მომსახურებაშიც შედის ხაშური, მაგრამ ამ ნაკლის გამოსასწორებლად ზომებს არ იღებს.

სისუფთავე და წესრიგი არ არის დამყარებული საზოგადოებრივი კვების ობიექტებში. მაგალითად, სურამის საადგილო „უღელტეხილში“ უსუფთაობაა, არა აქვთ მენიუ.

ხაშურის რაიონის ხელმძღვანელობამ სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ნ. ამბოკაძე.

სოფლის ბიბლიოთეკაში

საღამოობით ბევრი კოლმეურნე იყრის თავს საკაჭაროს სასოფლო ბიბლიოთეკაში. აქ კოლმეურნეებს ხვდებიან მორიგი აგიტატორები და ესაუბრებიან საინტერესო საკითხებზე.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით. მას გამოწერილი აქვს 34 სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი.

ბიბლიოთეკას 300-მდე მკითხველი ჰყავს. თვეში ერთხელ ეწყობა მკითხველთა კონფერენცია. მოწყობილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან კოლმეურნეები მ. შუბლაძე, პ. კაჭარავა, ე. ჭანტურაია, დ. კაჭარავა და სხვ.

ბიბლიოთეკასთან არსებობს ლიტერატურული წრე, რომელსაც მასწავლებელი მ. კაჭარავა ხელმძღვანელობს. წრეში 25 კოლმეურნეა გაერთიანებული. ბიბლიოთეკასთან გამოდის კედლის გაზეთი „წიგნის მეგობარი“.

ი. თოფურია,
აბაშის რაიონული გაზეთის რედაქციის მდივანი.

კადრები ჩვენი ქვეყნის თეატრებისათვის

ლენინგრადის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლები წელს ხელოვნების მუშაკთა ახალ დიდ ჯგუფს უშვებენ.

ლენინგრადის ნ. ა. ოსტროვსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტს ამთავრებს დრამის 40-ზე მეტი მსახიობი და რეჟისორი. მათი სადიპლომო ნამუშევრებია შემდეგი სპექტაკლები: მ. გორკის „მტრები“, მოლიერის „ტარტიუფი“, სალინსკის „საშიში თანამგზავრი“. ეს სპექტაკლები დაიდგა კ. ს. სტანისლავსკის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლში. ქალაქის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ამ სპექტაკლებს მაღალი შეფასება მისცა.

წელს თეატრალურ ინსტიტუტს ამთავრებს ტუვის ეროვნული სტუდიის სტუდენტთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. ე. ჭუკოვსკი.

ლენინგრადის რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ჩვენი ქვეყნის საოპერო თეატრებში, ფილარმონიაში და მუსიკალურ სასწავლებლებში გზავნის 86 კურსდამთავრებულს. ახალგაზრდა პიანისტები, კომპოზიტორები, ვოკალისტები სამუშაოდ მიდიან სტალინგრადში, ორჯონიკიძეში, აშხაბადში, სტალინაბადში, სოკტივკარში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში და სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში.

ვ. იუნოშევა.
ქ. ლენინგრადი.

აფთიაქი უნდა გაფართოვდეს

შედიხართ საბჭოს ქუჩა № 100 სახლში მოთავსებულ აფთიაქში და



მაშინვე თვალში გეცემათ ერთ-ერთ კუთხეში დაწყობილი ყუთების, სხვადასხვა ნივთების გროვა.

— სანამ უნდა იყოს ასეთი ანტისანიტარია აფთიაქში?

— ნუთუ კიდევ დიდხანს იქნება საჭირო ყუთების „ბარიკადის“ გადალახვა?

— რატომ ურიგდება ადმინისტრაცია ამ უმსგავსოებას?

ასეთ საჩივრებს ხშირად გაიგონებთ მიმსვლელთა შორის.

აღნიშნული აფთიაქი თბილისის ლენინის რაიონის მრავალი საწარმოდაწესებულების თანამშრომლებს, მოქალაქეებს ემსახურება. განა დრო არ არის სათანადო ორგანოებმა იზრუნონ აფთიაქის გაფართოება-კეთილმოწყობისათვის, საწყობით მისი უზრუნველყოფისათვის?!

კ. გამყრელიძე.

,,კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მეცხოველეობაში ჩამორჩენა კვლავ გრძელდება“

„კომუნისტში“ ამ სათაურით გამოქვეყნებული იყო წერილი, რომელიც ეხებოდა მეცხოველეობის ჩამორჩენას ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებში.

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა პარტიის ჩოხატაურის რაიკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად დაისახა ღონისძიებანი. მიღებული ზომების შედეგად გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა წველადობა ერთ საფურაე ძროხაზე.

მეცხოველეობის მოწინავეთა სარაიონო შეკრებამ მკაცრად გააკრიტიკა ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და სპეციალისტები. მიღებულია ღონისძიებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების 1955 წლის გეგმების შესრულებისათვის.

ქაღალდების ნიაღვარი და ერთი გადაუწყვეტელი საკითხი

ამბავი დაიწყო 1952 წლის ზაფხულში. სოფელ არგვეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში უხეშად ირღვეოდა მიწათსარგებლობის წესები. საჩხერის რაიაღმასკომმა ამ საკითხის მოსაგვარებლად გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელმაც შეადგინა აქტი 25 კოლმეურნეზე. მათ გამომუშავებული არ ჰქონდათ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი და ნორმის გადამეტებით უკანონოდ ფლობდნენ მიწას. კოლმეურნეთა საერთო კრებამ 1952 წლის 17 ივნისის დადგენილებით აღნიშნულ კოლმეურნეებს ჩამოუჭრეს ზედმეტი საკარმიდამო მიწა, დაუტოვეს 0,15 ჰექტარი და ჩათვალეს კოლმეურნეობიდან გასულებად. მათ შორის იყო ელენე ნიკოლოზის ასული მაჭავარიანი. რომელიც ფლობდა 0,76 ჰექტარ საკარმიდამო ნაკვეთს. მართალია ე. მაჭავარიანი სოფელში ცხოვრობს, მაგრამ კოლმეურნეობაში არ უმუშავნია, მისი ძმა ლ. მაჭავარიანი კი დიდი ხანია თბილისშია დასახლებული.

1952 წლის 18 ივნისს რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა სწორად ცნო კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილება ე. მაჭავარიანის მიმართაც. მას დაუტოვეს 0,15 ჰექტარი მიწა. აქვე შევნიშნავთ, რომ ე. მაჭავარიანს არა აქვს არავითარი საფუძველი, რომელიც მას კოლმეურნის უფლებას და საკარმიდამო ნაკვეთის უმაღლეს ნორმას შეუნარჩუნებდა.

1952 წლის დასაწყისში მარგანეცის მრეწველობიდან თავის სოფელ არგვეთს დაუბრუნდა წარმოებაში დროებით წასული კოლმეურნე ბ. შაორშაძე. მისმა ოჯახმა იმავე წელს 377 შრომადღე გამომუშავა, 1953 წელს — 538, ხოლო 1954 წელს — 627 შრომადღე და ამჟამადაც აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში.

კოლმეურნე ბ. შაორშაძეს საკარმიდამოდ მხოლოდ 600 კვადრატული მეტრი მიწა ჰქონდა. მან თხოვნით მიმართა კოლმეურნეობას, როგორც სრულუფლებიანი და აქტიური კოლმეურნისათვის შეეცალოთ საკარმიდამო ნაკვეთი კოლმეურნეობის სარეზერვო ფონდიდან 2.500 კვადრატულ მეტრამდე. კოლმეურნეთა საერთო კრებამ 1953 წლის 27 მაისს დაადგინა: თანახმად საკოლმეურნეო წესდებისა, კოლმეურნე ბ. შაორშაძეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი სარეზერვო ფონდიდან შეესებოდა 0,25 ჰექტარამდე. იმ დროისათვის სარეზერვო ფონდში ითვლებოდა ე. მაჭავარიანისათვის ჩამოჭრილი მიწა, რომლიდანაც 1.700 კვადრატული მეტრი მიეცა კოლმეურნე ბ. შაორშაძეს. მან აღნიშნულ ნაკვეთზე იმავე წელს გადმოიტანა სახლი და მრავალწლიანი ნარგავებიც გააშენა.

თავისი ყოფილი საკარმიდამო ნაკვეთის ჩამონაჭერზე კოლმეურნე ბ. შაორშაძის დასახლება ვერ აიტანეს ე. მაჭავარიანმა და განსაკუთრებით თბილისში მცხოვრებმა მისმა ძმამ ლ. მაჭავარიანმა.

დაიძრა განცხადებების ნაკადი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ე. მაჭავარიანი ირწმუნება, რომ მას უკანონოდ ჩამოაჭრეს მიწის ნაკვეთი. მის გავლენიან ძმას გამოექომაგნენ ნაცნობ-მეგობრები და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან საჩხერისაკენ წამოვიდა მიმართვა-დირექტივები, რათა „გაესწორებინათ შეცდომა“ და ე. მაჭავარიანისათვის კვლავ დაებრუნებინათ ჩამოჭრილი მიწის ნაკვეთი.

საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ღვინიანიძემ ამ საკითხზე არაერთი მოწერილობა მიიღო. ვერ გამოიჩინა პრინციპულობა, და 1953 წლის 23 ივლისს ხელახლა გამოტანილ იქნა დადგენილება ე. მაჭავარიანისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის 0.25 ჰექტარამდე გადიდების შესახებ, თუმცა ამისათვის არავითარი საბუთი არ არსებობდა სამინისტროს ზერელე მითითების გარდა.

ახლა გათამამებულ მაჭავარიანებს აღარც ეს აკმაყოფილებთ და საკარმიდამო ნაკვეთის მთლიანად დაბრუნება მოინდომეს. კვლავ გაიმართა მიწერ-მოწერა თბილისსა და საჩხერეს შორის, შეიქმნა სპეციალური საქმეები. საკითხის შესწავლა ამჯერად მტს-ის დირექტორს ს. ჭიხორიას დაევალა. მისი შემოწმების საფუძველზე რაისაბჭოს აღმასკომმა დაადგინა — გაუქმდეს საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის 1953 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება ე. მაჭავარიანისათვის საკარმიდამო მიწის 0,25 ჰექტარამდე შევსების შესახებ.

ამ დადგენილებამ კიდევ უფრო გაცხარა მაჭავარიანები. მათ ყველა საშუალება აამოქმედეს. ე. მაჭავარიანმა მოახერხა კოლმეურნეობიდან მიეღო ახლადდელი თავმჯდომარის მ. ბერიძის და ტუხჭალტერ შ. ამაშუკელის ხელმოწერილი ცნობა, რომ მას 1941-1948 წლებში ჰქონდა შრომადღეები. სოფლის ექიმის ა. მაჭავარიანის დახმარებით აიღო საექიმო კომისიის ცნობა, რომ მას მძიმე ფიზიკური შრომა არ შეუძლია.

ამ ცნობებით „შეიარაღებულმა“ ე. მაჭავარიანმა დახმარებისათვის თბილისში ძმას მიმართა. საქმეში ჩაერია სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ს. დურმიშიძე, რომელმაც საკითხის შესწავლა სამინისტროს თანამშრომელს ვ. ჩხიკვიშვილს დაავალა. ამავე საკითხით დაინტერესდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ს. ვაჩეიშვილი და მინისტრის ყოფილი მოადგილე ამხ. ი. კვილაძე. სამინისტროს წარმომადგენელმა ერთხელ საჩხერეც მოინახულა, მაგრამ საკითხი ზერელედ და სუბიექტურად შეამოწმა, თორემ სულ იოლად გაიგებდა, რომ ის შრომადღეები, რომლებიც ე. მაჭავარიანს 1941-1948 წლებში უწერია, არის არა კოლმეურნეობაში მუშაობის, არამედ ბინის ქირის საზღაური. (კოლმეურნეობის გამგეობას საბავშვო ბაღად დაუქირავებია ე. მაჭავარიანის ოთახი, რომელშიც წესდების დარღვევით უწერდნენ 80 შრომადღეს).

1955 წლის 22 იანვარს საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გ. ღვინიანიძეს უგზავნიან განკარგულებას: „მოქ. ე. მაჭავარიანისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის 0,15 ჰექტარამდე შემცირება არ მიმაჩნია სწორად, რის გამო იგი აღდგენილ უნდა იქნას კოლმეურნეობის წევრის უფლებებში და მთლიანად დაუბრუნდეს ჩამოჭრილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი“.

გ. ღვინიანიძემ და აღმასკომის პრეზიდიუმის წევრებმა კვლავ ვერ გამოიჩინეს პრინციპულობა, არ ჩაიხედეს საქმის შინაარსში და 1955 წლის 2 თებერვალს აღმასკომმა ახალი გადაწყვეტილება გამოიტანა: „ზემდგომი ორგანოების მითითების საფუძველზე ე. მაჭავარიანს დაუბრუნდეს ჩამოჭრილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და აღდგენილ იქნას კოლმეურნეობის წევრის უფლებებში“.

ამ დადგენილების შემდეგ შემოურღვიეს ეზო კოლმეურნე ბ. შაორშაძეს და აშკარად შელახეს მისი უფლებები. დავა გრძელდება. საკითხი კვლავ გადაუწყვეტელია...

საკითხავია, რატომ შეავიწროვეს კოლმეურნე ბ. შაორშაძის ოჯახი? ყველაფერი ეს ხომ არ ნიშნავს კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილების ამბუჩად აგდებას, საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევას?

ე. მაჭავარიანმა სამინისტროს წარუდგინა 1955 წელს გაცემული საექიმო კომისიის ცნობა, რომ მას არ შეუძლია მძიმე ფიზიკური მუშაობა. ვთქვათ, ამჟამად ე. მაჭავარიანმა წარმოადგინოს ცნობა, რომ იგი სავსებით შრომისუნარმოკლებულია, განა ეს ვისმე აძლევს უფლებას ხელოვნებით გააუქმოს სამი წლის წინათ კოლმეურნეების მიერ გამოტანილი სამართლიანი გადაწყვეტილება?

ამგვარად, ქაღალდებისა და დადგენილებების ნიაღვარში ჩაიხრჩო საქმის სინამდვილე, მისი შინაარსი.

სამწუხაროდ ეს ერთეული შემთხვევა არ არის. საჩხერის რაიონში კიდევ არის ფაქტები მიწათსარგებლობის მოუწესრიგებლობის შესახებ.

გ. პაპიძე,
პ. აბრამიშვილი.

როცა გაზეთის სიგნალს უყურადღებოდ ტოვებენ

გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ გასული წლის სექტემბერში სიგნალი კავშირგაბმულობის წყალტუბოს განყოფილების მუხიანის ფოსტის შენობის ავარიული მდგომარეობის შესახებ.

რედაქციამ კორესპონდენციია ზომების მისაღებად გადაუგზავნა კავშირგაბმულობის რაიკანტორას. ერთი თვის შემდეგ — 1954 წლის 8 ოქტომბერს გაზეთში დაიბეჭდა შენიშვნა — „გამოუქვეყნებელი წერილების კვადაკვალ“. ამ კორესპონდენციის გამო აღნიშნული იყო: „...როგორც კანტორის უფროსი ამხ. მ. ბეშკენაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, მიღებულია ზომები მუხიანის საფოსტო შენობის შეკეთებისათვის“.

მას შემდეგ ცხრა თვეზე მეტი გავიდა, მდგომარეობა კი უფრო გაუარესდა. შენობის კედლები ჩაიგრგა, ფასიანი ქაღალდები და ამანათები ზიანდება. კლიენტები საყვედურს გამოთქვამენ, რომ ასეთი პირობების „გამო ფოსტის მუშაკები მათ წესიერად ვერ ემსახურებიან.

კავშირგაბმულობის წყალტუბოს კანტორის უფროსი მ. ბეშკენაძე კრიტიკულ სიგნალებს უნდა გამოეხმაუროს არა ფორმალურად, არამედ საქმით.

გ. კეთილაძე.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

დელი, 30 ივნისი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ დამთავრდა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც დელში მიმდინარეობდა 14-დან 26 ივნისამდე, — ინდოეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აჯოი გჰოშმა პრეს-კონფერენციაზე გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „კომუნისტური პარტია მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებიც ინდოეთის მთავრობამ მიიღო მშვიდობის საქმისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ხელშესაწყობად. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებანი დაახასიათა, როგორც დიდი ნაბიჯი, რათა შეიქმნას აზიის ქვეყნების ხალხთა ერთიანობა აზიის მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი მიესალმა ნერუსა და ბულგანინის განცხადებას, რომელიც განმაკიცებს ინდოეთისა და სსრ კავშირის მეგობრობას და მძლავრი იარაღია ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. დემოკრატიული ძალებისა და კომპარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლო ამოცანაა, ხაზგასმით აღნიშნა ცენტრალურმა კომიტეტმა, აზიაში მშვიდობისა და ერთიანობისათვის მასობრივი მოძრაობის შემდგომი გაფართოება და განმტკიცება, ამ ძოძრაობაში მუშათა კლასისა და გლეხობის ქმედითი მონაწილეობის უზრუნველყოფა და ყველა პარტიის წარმომადგენელთა ფართო ერთიანობის შექმნა ისტორიული ხუთი პრინციპისათვის მხარდასაჭერად და იმპერიალისტთა სამხედრო ღონისძიებების წინააღმდეგ საბრძოველად. ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა პარტიის ყველა ორგანიზაციას გაძლიერონ კამპანია ატომური იარაღის წინააღმდეგ ვენის მიმართვაზე ხელმოწერის შესაგროვებლად“.

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველი ღონისძიებით უჭერს მხარს მოძრაობას გოას მოსახლეობის თავისუფლებისათვის.

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ კომუნიკეს მეტი ნაწილი მიძღვნილია ინდოეთის საშინაო პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების დარგში პარტიის საქმიანობის პროგრამისადმი.

ბელგრადში ჩავიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ

ბელგრადი, 30 ივნისი. (საკდესი). დღეს ბელგრადში იუგოსლავიის პრეზიდენტ იოსიპ ბროზ-ტიტოსათვის საპასუხო ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

ზემუნის აეროდრომზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ნერუს შეხვდნენ: იუგოსლავიის პრეზიდენტი ი. ბროზ-ტიტო, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე მ. პიადე, საკავშირო აღმასრულებელი ვიჩეს თავმჯდომარის მოადგილეები ე. კარდელი, ა. რანკოვიჩი, ს. ვუკმანოვიჩი, რ. ჩოლაკოვიჩი, მაკედონიის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე ლ. კოლიშევსკი, ჩერნოგორიის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე ბ. იოვანოვიჩი, სერბიის აღმასრულებელი ვიჩეს თავმჯდომარე ი. ვესელინოვი, სახელმწიფო მდივნები, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

იუგოსლავიისა და ინდოეთის ეროვნული ალმებით მორთულ აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო სპეციალი ყარაული და შესრულებულ იქნა სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომზე მიკროფონის წინ ნერუმ მისასალმებელი სიტყვით მიმართა იუგოსლავიის ხალხებს.

დღეს საღამოს 6 საათზე ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი ავალზე.

პრეს-კონფერენცია ეიზენჰაუერთან

ვაშინგტონი, 29 ივნისი. (საკდესი). ეიზენჰაუერმა პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ ვარაუდობენ რაიმე კონკრეტული პროგრამა იქონიონ განიარაღების დარგში ჟენევის თათბირამდე.

შეეხო რა მთელ რიგ წინადადებებს, რომლებიც კონგრესში გააკეთეს იმაზე, რომ გამოვიდნენ დეკლარაციებით საბჭოთა „სატელიტების“ შესახებ, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ მისი პოზიცია არაერთგზის ყოფილა ჩამოყალიბებული და იგი ისეთია, რომ, სანამ ეს სახელმწიფოები ვერ შეძლებენ თავისუფლად განსაზღვრონ თავიანთი მმართველობის ფორმა, მსოფლიოში შეუძლებელია ნამდვილი მშვიდობა. მაგრამ ეიზენჰაუერმა დამსწრენი გააფრთხილა, რომ ასეთ წინადადებებს საზღვარი აქვს და აღნიშნა, დეკლარაციებში თავი უნდა ავარიდოთ ომის პროვოკაციასო.

პირველი კითხვა, რომელიც ეხებოდა ოთხი სახელმწიფოს თათბირს, იყო თხოვნა — ეცნობებინა, თუ ვინ დაესწრება თათბირს და როდის გაემგზავრება დელეგაცია. ეიზენჰაუერმა თქვა, რომ იგი აპირებს გაემგზავროს პარასკევს საღამოს ან, შესაძლებელია, შაბათს დღისით, რადგანაც სურს ჟენევაში ჩავიდეს მოხერხებულ დროს, კვირას დილით. ეიზენჰაუერის სიტყვით, გადაწყდა, რომ დაესწრება ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობა. შემდეგ ეიზენჰაუერმა დაასახელა ამერიკის დელეგაციის შემადგენლობა.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა, მიაჩნია თუ არა ეიზენჰაუერს, რომ ბულგანინს შეეძლება საბჭოთა მთავრობის „სახელით ალაპარაკოს“, თუ ეიზენჰაუერს იმედი აქვს, რომ დაესწრებიან აგრეთვე ხრუშჩოვი და ეუკოვი. ეიზენჰაუერმა თქვა, რომ ახლა ეს საკითხი თავსამტვრევია. არავინ იცის, ვის აქვს გაბატონებული გავლენა ამ ჯგუფში. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს მმართველობის სხვადასხვა ფორმა, რომ სახელმწიფოს ყველა მეთაური როდია მთავრობის მეთაური და რომ ასეთ თათბირზე არ შეიძლება იმის იმედი ვიქონიოთ, რომ შეიკრიბებიან ადამიანები, რომლებსაც ზუსტად ანალოგიური პოსტები უკავიათ. მაგრამ მან გამოთქვა იმედი, რომ თათბირს დაესწრებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან მიიღონ გადაწყვეტილებანი.

როცა ეიზენჰაუერს სთხოვეს ეცნობებინა, თუ რაოდენ ოპტიმისტურად ეკიდება იგი დადებითი შედეგების მიღწევას თათბირზე, მან თქვა, რომ, მისი აზრით, მსოფლიო, და ამერიკის შეერთებული შტატებიც, იმის ღირსია, რომ ჰქონდეს ახალი შესაძლებლობა სცადოს ასეთი თათბირის გზით გამოარკვიოს ყველა ჩვენგანის საერთო განზრახვები. ამ მეთოდის დახმარებით შეიძლება გამოინახოს იმის გზები, რომ პრობლემები წარკვეთოთ ახალი არხებით და, ბოლოს, ვიპოვნოთ დაძაბულობის შენელების საშუალებანი.

ეიზენჰაუერმა უარყოფითი პასუხი გასცა კითხვაზე, იმედი აქვს თუ არა მიიღოს რაიმე „კონკრეტული“ პროგრამა განიარაღების დარგში ჟენევის თათბირამდე. მან დასძინა, რომ წინადადების მომზადება ხანგრძლივი და ძნელი იქნება და არაფერი არ გამოქვეყნდება, სანამ ეს საბოლოოდ არ იქნება შემუშავებული და მთავრობის სრულ მხარდაჭერას არ ჰპოვებს.

იმ კითხვის პასუხად, არის თუ არა რაიმე შეთანხმება თათბირის დამთავრების ვადის შესახებ, ეიზენჰაუერმა თქვა, ეს არ ვიცოდ. მიღი მოვალეობანი, ბუნებრივია, შეზღუდავენ დროს, რომელიც მას შეუძლია დაჰყოს თათბირზე. ეიზენჰაუერმა თქვა, არა მგონია, რაკი ასეთი პოზიცია მაკავია, რისაც ვეუწოდე, რომ გონიერი ადამიანები ჩემს შესახებ არახელსაყრელ პროპაგანდას გასწევენო.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა, რამდენადმე რწმენით ეკიდება ეიზენჰაუერი თუ არა თათბირს უმაღლეს დონეზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სან-ფრანცისკოს სესიის შედეგად. ეიზენჰაუერმა უპასუხა, რომ იგი ცდილობს მეტად ბევრს არ მოელოდეს. ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციაში რაღაც ცვლილება მოხდა. თუ ეს ცვლილება გაგრძელდებოდა საერთო ურთიერთობას, ამან, ბოლოს და ბოლოს, თავი უნდა იჩინოს საერთო სიტუაციაში. არავინ არ ფიქრობს, რომ მარქსისტულ დოქტრინაზე ხელი აიღეს მისმა მომხრეებმა, და ამიტომ ჩვენ სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. მაგრამ თუ შეიძლება გამოვძებნოთ იმის საშუალებანი, რომ ადამიანებს მოვაშოროთ შიშისა და დაძაბულობის ტვირთი, მაქსიმალურად უნდა შევისწავლოთ ეს საშუალებანი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიის შედეგად, თქვა დასასრულ ეიზენჰაუერმა, მან გამოარკვია, რომ ამის შანსი გაუმჯობესდა იმასთან შედარებით, რაც რამდენიმე ხნის წინათ იყო.

ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა ეიზენჰაუერს, თქვენი აზრით რა უნდა ვქნათ საჯაროობის შესახებ, რამდენადაც ჟენევაში ხიღებული არ იქნება არავითარი გადაწყვეტილება და თათბირი საუბრებით იქნებაო. ეიზენჰაუერმა მიუგო, რომ მას არ სურდა ეთქვა, რომ უთუოდ არ იქნება მიღებული არავითარი გადაწყვეტილება. მას იმედი არა აქვს, რომ მიღწეულ იქნება პრობლემების გადაწყვეტა, მაგრამ შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ მიეუდგეთ მათ. შეეხო რა საჯაროობას, ეიზენჰაუერმა იმედი გამოთქვა, რომ რაღაც იმაზე მეტი იქნება, ვიდრე სტანდარტული დამამთავრებელი კომუნიკეა. ეიზენჰაუერმა გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ სადმე შეივლის შინ დაბრუნებისას.

იმ თხოვნის პასუხად, რომ კომენტარი გაეკეთებინა ბერლინის ზღვაში მომხდარი ინციდენტისათვის, ეიზენჰაუერმა რწმენა გამოთქვა, რომ ეს იყო ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენა და არა პოლიტიკური საკითხი. ცუდი იმინდი იყო, და სხვა ფაქტორებიც ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ეს მოვლენა ადგილობრივი იყო და ნაწილობრივ გამოწვეულია გაუგებრობით. ეიზენჰაუერმა თქვა, რომ საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ ინციდენტში მეტად წამაბალისებელი იყო წარსულთან შედარებით.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა აღნიშნა, რომ, კონგრესის წრეებში მიღებული ცნობებით, იქ აპირებენ შეტანონ რეზოლუცია, რომელიც აყალიბებს პოზიციას „სატელიტების“ შესახებ, და ჰკითხა, დაუჭერს თუ არა მხარს ეიზენჰაუერი ასეთ რეზოლუციას. პრეზიდენტმა უპასუხა, რომ მან არაფერი არ იცის ამ წინადადების შესახებ, მაგრამ მისი პოზიცია არაერთგზის ყოფილა ჩამოყალიბებული, და იგი ისეთია, რომ, სანამ ეს სახელმწიფოები თავისუფლად არ განსაზღვრავენ მმართველობის თავიანთ საკუთარ ფორმას, მსოფლიოში შეუძლებელია ნამდვილი მშვიდობა.

კორესპონდენტმა დაიმოწმა გასულ კვირაში წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული რეზოლუცია „კომუნისტური იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის“ შესახებ და ჰკითხა, მხარს უჭერს თუ არა ეიზენჰაუერი ამ რეზოლუციას. ეიზენჰაუერმა თქვა, ამ რეზოლუციის შესახებ არაფერი გამიგონია, მაგრამ საერთოდ ყოველ ასეთ განცხადებაში არის ყოველგვარი ელფერი, ისევე როგორც შესაძლო გართულებანიც. ეიზენჰაუერმა დასვა რიტორიკული კითხვა, რამდენად ფართო მოთხოვნებია წამოყენებული. და განცხადა, ჩვენ ომს არ გამოვაცხაღებთო. მტკიცედ მოითხოვა რა სიფრთხილე ასეთ ღონისძიებებში, ეიზენჰაუერმა თქვა, მშვიდობიან და არა პროვოკაციულ მეთოდებს უნდა მივმართოთო.

შეეხო რა კანონს უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ, რომელსაც ამჟამად წარმომადგენელთა პალატა განიხილავს, ეიზენჰაუერმა მტკიცედ მოითხოვა ამ პროგრამის დაცვა, რამდენადაც მისი შედეგები ესოდენ კეთილნყოფიერი იყო, რომ მასზე უარი არ უნდა ვთქვათ საბჭოთა კავშირის პოზიციის აშკარა ცვლილების დროსაც კი.

ეიზენჰაუერი იცავდა წინადადებას — აიგოს სატვირთო გემი ატომის ძრავათი (რომელსაც, ცხადია, კონგრესი უარყოფს) ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების უპირატესობათა რეკლამის მიზნით.

შეეხო რა ამასთან დაკავშირებით პროპაგანდისტულ ბრძოლას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, ეიზენჰაუერმა მოითხოვა ხელი აიღონ ლოზუნგზე „ცივი ომი“ და მიიღონ ლოზუნგი „ომი მშვიდობისათვის“, რომელიც, მისი სიტყვით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა მოიგონ.

პრეს-კონფერენციის დასაწყისში ეიზენჰაუერმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ბერმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა.

ეიზენჰაუერმა თავი აარიდა პასუხს ყველა კითხვაზე, რომლებიც მის მომავალ პოლიტიკურ გეგმებს ეხებოდა.

კ ო მ უ ნ ი კ ე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის გერმანიის არქივთა მასალების გადაცემის შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირში ინახება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გერმანიის არქივთა მასალები, რომლებიც სსრ კავშირის საარქივო ფონდებში ინახება. ამ საარქივო მასალებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ და დიდ ღირებულებას წარმოადგენენ გერმანიის ისტორიის შესწავლისათვის. ხსენებული მასალები შეიცავენ გერმანიისა და პრუსიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე გერმანიისა და პრუსიის მთელ რიგ სხვა დაწესებულებათა დოკუმენტების მნიშვნელოვან რაოდენობას.

არქივების მიღების მიზნით მოსკოვში უკანასკნელი დღეების განმავლობაში იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ოტო მაიერის (დელეგაციის მეთაური), დოქტორ ჰელმუტ ლეტკეესა და ჰაინც ჰუტის შემადგენლობით.

ა. წ. 30 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს აქტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ზემოხსენებული მასალების გადაცემის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მხრივ აქტს ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ო. მაიერმა და სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველმა ი. შიუტცმა.

აქტის ხელმოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები და პრესის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის განათლების მუშაკთა დელეგაცია საერთაშორისო კონფერენციაზე

30 ივნისს მოსკოვიდან ჟენევაში გაემგზავრა სსრ კავშირის განათლების მუშაკთა დელეგაცია განათლების საკითხთა XVIII საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც იმუშავებს 1955 წლის 4-დან 12 ივლისამდე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — რუსეთის სფსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ლ. ვ. დუბროვინა (დელეგაციის ხელმძღვანელი), ესტონეთის სსრ განათლების მინისტრი ვ. კ. ოია, რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების მთავარი სამმართველოს უფროსი ა. გ. ორლოვი, რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მხატვრული აღზრდის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ნ. პ. საკულინა.

ამავე დროს საერთაშორისო კონფერენციაზე გაემგზავრნენ დელეგაციები: უკრაინის სს რესპუბლიკისა (ხელმძღვანელი — უკრაინის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ფ. გ. დუდნიკი) და ბელორუსიის სს რესპუბლიკისა (ხელმძღვანელი — ბელორუსიის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ს. ა. უმრეიკო).

კონფერენციაზე განიხილავენ 1954-1955 სასწავლო წელს სახალხო განათლების მდგომარეობის, სახალხო განათლების დაფინანსების, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებს.

ჟენევაში გაიგზავნა სპეციალური გამოფენა „სახალხო განათლება სსრ კავშირში“. (საკდესი).

იუგოსლავიის დელეგაცია საბჭოთა ავიაციის დღის დღესასწაულზე მოემგზავრება

ბელგრადი, 30 ივნისი. (საკდესი). როგორც იუგოპრესის სააგენტო იუწყება, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიწვევით 1 ივლისს მოსკოვს საბჭოთა ავიაციის დღის დღესასწაულზე გაემგზავრება იუგოსლავიის სამხედრო-საჰაერო ძალების დელეგაცია. 6 აგვისტოს შემდგარი დელეგაციის მეთაური იქნება იუგოსლავიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალ-პოდპოლკოვნიკი ზდენკო ულეპიჩი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში სტუმრად იქნება დაახლოებით 10 დღეს.

ოსლოში გაიხსნა ხალხური მუსიკისა და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი

ოსლო, 30 ივნისი. (საკდესი). გუშინ ოსლოში ზეიმით გაიხსნა ხალხური მუსიკისა და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ 14 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ინგლისის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები. ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა ოსლოს ბურგომისტრი ბ. ბული, რომელმაც აღნიშნა ფესტივალის დიდი მნიშვნელობა კულტურის განვითარებისა და ხალხთა ურთიერთგაგებისათვის.

საბჭოთა კავშირისაგან ფესტივალში მონაწილეობას იღებენ დები ფედოროვები, პიატნიცკის სახელობის გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფი, სამი ბანდურისტი და ერთი ციმბალისტი. ფესტივალის მონაწილეთა გამოსვლები გაიმართება სტადიონებსა და მოედნებზე, პარკებსა და დახურულ შენობებში. ფესტივალი 5 ივლისამდე გასტანს.

ფესტივალის საბჭოთა მონაწილეები უკვე წარმატებით გამოვიდნენ ქალაქებში ლილეჰამერსა და ჰამარში.

ახალი მთავრობა ისრაელში

ტელ-ავივი, 30 ივნისი. (საკდესი). ისრაელის პარლამენტმა 66 ხმით 32 ხმის წინააღმდეგ (3 დეპუტატმა თავი შეიკავა) ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას, რომელიც პრემიერ-მინისტრმა მოშე შარტმა შეადგინა. მთავრობის შემადგენლობაში არიან იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც წინანდელი კაბინეტის მთავრობის კოალიციაში შედიოდნენ, გარდა პარტიისა „საერთო სიონისტები“.

გააკეთა რა პარლამენტში მთავრობის დეკლარაცია, შარტმა, გაზეთ „ჯერუზალემ პოსტის“ სიტყვით, განაცხადა, რომ ახალი მთავრობა „დაიცავს წინანდელი კაბინეტის ძირითად პრინციპებს“.

დეპუტატმა მიკუნისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი მთავრობა შედგენილია იმ ვარაუდით, რომ განაგრძოს ამერიკის შეერთებულ შტატებზე ისრაელის პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულების კურსი.

სპორტის ამბები

ჰენლეის რეგატაზე

ლონდონი, 30 ივნისი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ჰენლეში მდინარე ტემზაზე დაიწყო ტრადიციული რეგატა — დიდი შეჯიბრება ნიჩბოსნობაში.

შეჯიბრების პირველ დღეს საბჭოთა ნიჩბოსნები იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ გამოსვლაზე ამის გამო, რომ რეგატის სამდივნომ ვერ უზრუნველყო მათი ნავების მოყვანა გემ „სტრელნადან“. მხოლოდ გვიან საღამოს მოიყვანეს ნავები ჰენლეში და დღეს საბჭოთა სპორტსმენები გამოვიდნენ შეჯიბრებაში.

11 საათზე სტარტი მიეცა რვიანებს. სასპორტო საზოგადოება „კრასნოე ზნამიას“ (სსრ კავშირი) რვიანი ეჯიბრებოდა კემბრიჯის უნივერსიტეტის კოლეჯის რვიანს. 1 მილ 550 იარდ დისტანციაზე საბჭოთა ნიჩბოსნები, რომლებიც ინგლისური ნავით გამოდიოდნენ (რადგან თავიანთი ნავის მოსამზადებლად საკმაო დრო აღარ დარჩათ), პირველნი მივიდნენ ფინიშთან და აჩვენეს დღის საუკეთესო დრო რვიანებისათვის.

საზოგადოება „ხიმიკის“ ნიჩბოსნებმა ბულდაკოვმა და ივანოვმა ადვილად გაუსწრეს ინგლისური კლუბის „მეიდენჰედის“ ორიანს და ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. „კრილია სოვეტოვის“ ოთხიანმა დაამარცხა კემბრიჯის უნივერსიტეტის კოლეჯის ოთხიანი, გაუსწრო რა მას ორი კორპუსით და აჩვენა დრო 7 წუთი და 37 წამი.

მრავალი მაყურებელი მჭეხარე ტაშით და მოწონების შეძახილებით შეხვდა საბჭოთა ნიჩბოსნების წარმატებას.

საჭადრაკო მატჩი

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო მატჩის მეორე ტური. ვ. სმისლოვმა მოუგო ა. ბისჰაიერს, დ. ბრონშტეინმა — ლ. ევანსს, ჰ. კერესმა — რ. ბერნს, ტ. პეტროსიანმა — ი. გოროვიცს. დანარჩენი პარტიები გადადგა. ს. რეშევსკისა და მ. ბოტვინიკის პირველ ტურში გადადებული პარტია არ გათამაშებულა. მ. ბოტვინიკმა პარტია წაგებულად ჩათვალა. ორი ტურის შემდეგ მატჩის ანგარიშია 9,5 : 2,5 სსრ კავშირის მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

იუგოსლავიის ფეხბურთელები — სსრ კავშირში

მოსკოვში იმყოფება იუგოსლავიის ფეხბურთელთა ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი — „პარტიზანი“. სტუმრები პირველ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გამართავენ დღეს, 2 ივლისს. იუგოსლავიის „პარტიზანის“ წინააღმდეგ ითამაშებს მოსკოვის „სპარტაკი“.

საერთაშორისო შეჯიბრება

გუშინ კიევში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ლიბანის ნაკრებ გუნდსა და კიევის „დინამოს“ შორის. მატჩი დამთავრდა კიევის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 18:0.

წყალბურთელთა შეხვედრა

გუშინ სსრ კავშირის [illegible] ეროს ცენტრალური სასპორტო კლუბის საცურაო აუზში გაიმართა იუგოსლავიისა და სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები კოლექტივების მეორე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა წყალბურთელების მორიგი გამარჯვებით 4 : 2.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის XVII ჩემპიონატის მეორე წრის მატჩი ფეხბურთში ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის.

პირველ ტაიმში ორივე გუნდი დაბალი ტემპით თამაშობდა. დინამოელებმა ვერ გამოიყენეს ტერიტორიული უპირატესობა, დაკარგეს ბურთის გატანის უდაო შესაძლებლობები. ვერც სტუმრებმა შეძლეს ხელსაყრელი მომენტების გამოყენება.

45 წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0:0.

ტემპიანი და საინტერესო ბრძოლა მას შემდეგ გაჩაღდა, როდესაც ზ. კალოევმა ანგარიში გახსნა. ეს მოხდა მე-10 წუთზე. პირველ გოლს სტუმრებმა გაძლიერებული თამაშით უპასუხეს. კარგად იცავდა კარს მ. პირაევი, დამცველთა რიგებში გამოირჩეოდა გ. ხოკოლავა.

მალე ნახევარდამცველს ი. ვორონინს გაუსწლტა ა. ოღოლობერიძე და ანგარიში გაადიდა. მანვე 39-ე წუთზე ოსტატურად მიაწოდა ბურთი ა. კოტრიკაძეს, ეს კომბინაცია გოლით დამთავრდა.

მატჩი მოიგეს თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 3:0.

თამაშს კარგად სჯიდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. არხიპოვი (მოსკოვი).

ასევეთვე შედეგით დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა.

ლენინგრადი. 30 ივნისი. დაიწყო სსრ კავშირის XVII ჩემპიონატის მეორე წრე ფეხბურთში. კიროვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ ლენინგრადის „შრომითი რეზერვებისა“ და სტალინის „შახტიორის“ გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1 : 1.

მოსკოვი. 1 ივლისი. დედაქალაქის „სტალინეცის“ სტადიონზე სპორტის ათეულ ათასობით მოყვარული ესწრებოდა სსრ კავშირის 1955 წლის პირველობის გათამაშების ლიდერის მოსკოვის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ გუნდების შეჯიბრებას. მატჩი დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

ჭაბუკ ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა

დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა კოლექტივების რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას იღებს 8 გუნდი. პირველი მატჩების შედეგები ასეთია: თბილისი—ბათუმი 2 : 1, „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) — ქუთაისი 4 : 2, ხაშური — სტალინირი — 3 : 2.

«საქართველოს კომუნისტი» № 6

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 6.

ჟურნალში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, **ი. ფეიქრიშვილი** — პარტიის კავშირი მასებთან კომუნიზმის გამარჯვების აუცილებელი პირობაა, **ვ. დათუკიშვილი** — წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა საბჭოთა კავშირში, **შ. ბიწაძე** — საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, **ს. ხუციშვილი** — გამოჩენილი ქართველი განმანათლებელი.

განყოფილებაში „**პარტიული ცხოვრება**“ გამოქვეყნებულია **პ. ბაკრაძის** სტატია — ტექნიკური ინტელიგენციის იდეოლოგიური აღზრდა, **ვ. შავგულიძის** — ავამყოლოთ ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის დონე.

განყოფილებაში „**პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე**“ მოთავსებულია შემდეგი მასალები: ქარხნის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის მოვალეობის შესახებ; შეუძლია თუ არა პარტორგანიზაციის გაუთავისუფლებელ მდივანს იღებდეს პრემიებს თავის საწარმოო შუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის?

განყოფილებაში „**სადღესო თემაზე**“ გამოქვეყნებულია წერილები — გადაჭრით გავუმჯობესოთ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა, სოფლის კინომომსახურებას — შეუნელებელი ყურადღება.

განყოფილებაში „**ჟურნალებისა და გაზეთების მიმოხილვა**“ მოთავსებულია წერილი — მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლა და საოლქო გაზეთები.

განყოფილებაში „**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**“ დაბეჭდილია **ვ. კალანდარიშვილის** სტატია — ისტორიაში ხალხთა მასების როლის შესახებ, **ი. გოგილაშვილის** — მონოგრაფია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

ჟურნალს დართული აქვს „პარტიული ქრონიკა“.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ 1955-56 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე: მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის (სპეციალობანი: გეოგრაფია, გეოლოგია), ბიოლოგიის, ისტორიის (სპეციალობანი: ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია), ფილოლოგიის (სპეციალობანი: ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ჟურნალისტიკა), აღმოსავლეთმცოდნეობის (სპეციალობა: აღმოსავლური ენები და ლიტერატურა), დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის (სპეციალობანი: გერმანული, ინგლისური), იურიდიული, ეკონომიკის (სპეციალობანი: მრეწველობის ეკონომიკა, ვაჭრობის ეკონომიკა, ფინანსები და კრედიტი, სახუჭალტრო აღრიცხვა).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლამდე ასაკისა, რომლებმაც დამთავრეს საშუალო სკოლა.

იმ პირთათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ტექნიკუმი ან სპეციალური საშუალო სასწავლებელი, სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ოქროს მედალოსნები და სამამულო ომის მონაწილენი, ომებიდან დაბრუნებული ოფიცრები, ასევე ამ ომში ინვალიდობამიღებული ადამიანები.

ყველა დანარჩენი აბარებს მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ამას გარდა, მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის ფაკულტეტებზე შემსვლელნი დამატებით აბარებენ გამოცდებს მათემატიკაში (წერა-ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში; ბიოლოგიის ფაკულტეტზე — ფიზიკასა და ქიმიაში; გეოგრაფიის-სპეციალობაზე — მათემატიკაში (ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში; ეკონომიკის ფაკულტეტსა და გეოგრაფიის სპეციალობაზე — მათემატიკაში (ზეპირი), გეოგრაფიასა და სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში; ფილოლოგიის, აღმოსავლე